საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუკის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 5 დეკემბერი. 2018 წ. №246 (8647) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ნერვების ომი

დამარცხებულთა ძალადობა 3

რამაზ საყვარელიძე: საპროტესტო ფონი ხელისუფლებისთვის უფრო ხელსაყრელია!

4

„ვინ არის, ბიჭო, შენი პედერასტი, მე ვარ, ბიჭო, ცისფერი?“

5

აფხაზებს რუსეთის მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულება გამოუმუშავდათ

8

პარლამენტი აზარტული თამაშების რეკლამის აკრძალვის საკითხზე მსჯელობს

დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში პირველი მოსმენით უკვე განიხილეს „რეკლამის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც, იკრძალება აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამირება რელიგიურ, საბავშვო, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში, კულტურისა და სპორტის ორგანიზაციებში.

აგრეთვე, იკრძალება გარერეკლამა დასახელებული დაწესებულებებიდან 200 მეტრის რადიუსში. ასევე კანონპროექტი კრძალავს აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამის გავრცელებას ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტის, ბეჭდური მედიის და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, გარდა სპორტული პროგრამისა თუ რეპორტაჟის სპონსორობისას.

სპონსორობის შემთხვევაში, დასაშვები იქნება მხოლოდ აზარტული ან მომგებიანი თამაშების ორგანიზატორი მეწარმე სუბიექტის დასახელების და სასაქონლო ნიშნისა თუ ლოგოტიპის გავრცელება. ცვლილებების პროექტი კრძალავს აზარტული და მომგებიანი თამაშებისთვის განკუთვნილ შენობანაგებობაზე დაწესებულების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის განთავსებას, რომელიც 10 კვადრატულ მეტრ ფართობს აღემატება.

ათი ქვეყანა, რომელიც ტურისტებისგან დაიღალა

9

ციფრული „საპნის ბუშტები“ ერთიმეორის მიყოლებით სკდება

6

ევროკავშირული პრობლემები



7

100 წლის გაზეთი

თქვენს დახმარებას ელის!

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ნიკა რურუა გარდაიცვალა

50 წლის ასაკში ნიკა რურუა გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, რურუა საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. სავარაუდოდ, ის გულის შეტევით გარდაიცვალა.

ნიკოლოზ რურუა 2008 წლის 10 ოქტომბრიდან 2012 წლის 25 ოქტომბრამდე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის თანამდებობას იკავებდა. ამასთან ის საქართველოს მეექვსე და მეშვიდე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. იყო ავტორი იდეისა საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის დაარსების თაობაზე, რისი რეალიზაციაც თანამოაზრეებთან ერთად შეძლო კიდეც 2006 წელს. ამავე წელს თანამოაზრეებთან ერთად უხელმძღვანელა საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სამშობლოში გადმოსვენების და მთაწმინდის პანთეონში მისი დაკრძალვის პროცესს.

ნებისმიერი პოლიტიკური დაპირისპირება სიკვდილის წინაშე მთავრდება!

ნიკა რურუას ოჯახს სალომე ზურაბიშვილმა მიუსამძიმრა – **„ამ წუთში შევიტყვე ნიკა რურუას უეცარი გარდაცვალების შესახებ. ვიზიარებ ოჯახის მწუხარებას. ნებისმიერი პოლიტიკური დაპირისპირება სიკვდილის წინაშე მთავრდება!“** – წერს ზურაბიშვილი.

რაც კარგია, კარგია!

თბილისში მართლწესრიგის ოფიცრებმა მუშაობა დაიწყეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს „სისტემური განახლების“ ფარგლებში გუშინ ქ. თბილისში მართლწესრიგის ოფიცრებმა დაიწყეს მუშაობა.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი წარმოადგენს კრიმინალური პოლიციის ახალ დანაყოფს, რომელმაც ეტაპობრივად სრულად უნდა ჩაანაცვლოს კრიმინალური პოლიციის საუბნო მიმართულება და უბნის ინსპექტორის მოძველებული ინსტიტუტი.

მართლწესრიგის ოფიცერი საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელია, რომელიც მსოფლიოში დანაშაულის პრევენციის აპრობირებული ინსტრუმენტია. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახაბერ საბანაძემ მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქცია-მოვალეობებზე ისაუბრა.



მართლწესრიგის ოფიცრის ძირითად ფუნქცია-მოვალეობებში შედის არასრულწლოვნებთან დაკავშირებული პრობლემები, ოჯახური კონფლიქტები, ქალთა მიმართ ძალადობა, უკანონო მიგრაცია, სხვადასხვა რისკ-ჯგუფები და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მუშაობა. ასევე, მართლწესრიგის ოფიცრის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საპოლიციო სერვისების დროული და ეფექტური მიწოდება მოსახლეობისთვის. მართლწესრიგის ოფიცრები მჭიდრო კომუნიკაციაში იქნებიან არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე, პოლიციის სხვადასხვა დანაყოფებთან. მჭიდრო კონტაქტი ექნებათ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და მან-დატურებთან. ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ასევე იქნება შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება. რაც მთავარია, მართლწესრიგის ოფიცრის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანაშაულის პრევენციული საქმიანობის განხორციელება...

გამოძიება მიმდინარეობს, რადგან ეჭვები არსებობს

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ უკრაინის 6 მოქალაქის დაკავების შესახებ კომენტარი გააკეთა. ჟურნალისტის კითხვაზე ჰქონდათ თუ არა უკრაინელებს კავშირი 2 დეკემბრის აქციასთან და ოპოზიციურ ძალასთან, გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ რა თქმა უნდა ეჭვები არსებობს, თუმცა გამოძიება მიმდინარეობს და მის შედეგებს უნდა დაველოდოთ.

„ჩვენ კოლეგებთან ერთად, უსაფრთხოების სამსახურთან ერთად ვმუშაობთ, ვნახოთ, რა შედეგები დადგება. რა თქმა უნდა, ვადგენთ. ეს არის პროცესი და ეს არის ამასთან ერთად ძალიან საპასუხისმგებლო გამოძიება. ჩვენ თითოეულ ნაბიჯს და სიტყვას ვზომავთ. ასეთი ეჭვები არსებობს, მათივე განცხადებებიდან, რომლებიც მათ გააკეთეს, მათ შორის დაკითხვების დროსაც, მათივე ვიზიტებიდან სხვადასხვა აქციებზე... მინდა გითხრათ, რომ ეს დღეს მხოლოდ ეჭვია. დღეს გვაქვს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე, სად მიგვიყვანს ეს გამოძიება, ვნახავთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ესენი არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები. აქედან გამომდინარე და ამ პოლიტიკური პროცესების სენსიტიურობიდან გამომდინარე, რომელიც არჩევნებთან დაკავშირებით მიმდინარეობს, თითოეულ სიტყვას ძალიან ფრთხილად ვზომავთ. გამოძიების პროცესში ვართ და როგორც კი კონკრეტული შედეგები გვექნება, პირველი თქვენ გაიგებთ. დღეის მდგომარეობით გამოძიება მიმდინარეობს და არის მოტივის გამოკვეთის ეტაპზე. როგორც ფაქტი, ჩვენ გვაქვს ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ჰქონდათ ჯგუფური ვიზიტით, 27 ნოემბერს საქართველოში ჩამოსულ უკრაინის მოქალაქეებს. ეს არის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დღეს მე შემიძლია გითხრათ“ — განაცხადა გიორგი გახარიამ.

უკრაინის 6 და საქართველოს ერთ მოქალაქეს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა

თბილისში სპეცოპერაციისას დაკავებულ უკრაინის ექვს და საქართველოს ერთ მოქალაქეს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლემ პატიმრობის შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ბრალდების მხარე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობას მოითხოვდა, ხოლო დაცვის მხარე ან აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ან ალტერნატივად, 5000-ლარიან გირაოს სთავაზობდა. შსს-მ 2 დეკემბერს, ორ სასტუმროში სპეცოპერაციის შედეგად უკრაინის ექვსი და საქართველოს ერთი მოქალაქე დაკავეს. შსს-ს ცნობით, სასტუმროს ნომრების ჩხრეკისას ამოღებულია ბერეტას და მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, ავტომატური ხელნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი და სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა. ფაქტზე გამოძიება დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით, რაც ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

საპატრიარქოს დაფინანსება 2019 წელსაც უცვლელია და 25 მლნ ლარს შეადგენს

2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსება უცვლელი რჩება და 25 მლნ ლარს შეადგენს.

გარდა ამისა, სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტის სახით ბიუჯეტიდან გამოიყოფა 14 მლნ 738 ათასი ლარი. ბიუჯეტით ასევე განსაზღვრულია სხვადასხვა დაწესებულებების დაფინანსება:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქ. ნინოწმინდის წმიდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი;

ა(ა)იპ — ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრი;

საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანე;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი;

წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრი;

საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ — ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი;

საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია;

ა(ა)იპ — ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრი.

საპენსიო სააგენტოს დაფინანსება 3,8 მლნ ლარით განისაზღვრა

2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით საპენსიო სააგენტოს დაფინანსება 3 მილიონ 800 ათასი ლარით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტში სააგენტოს დაფინანსება 1 მლნ ლარით იყო განსაზღვრული.

ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სააგენტოს თანამშრომელთა რიცხვი 50 ადამიანს შეადგენს, რომელთა ანაზღაურების საერთო ჯამში წელიწადში 2 მლნ ლარი იქნება.

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემა უნდა ამოქმედდეს. 17 სექტემბერს საპენსიო სააგენტოს დირექტორად ლევან სურგულაძე დაინიშნა.

მომდევნო წელს კიდევ უფრო მეტი გაკეთდება, რასაც თბილისის მოსახლეობა დაინახავს!

თბილისის მერი კახა კალაძე თანაგუნდელებსა და დედაქალაქის მოსახლეობას მადლობას უხდის.

როგორც მან თბილისის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, ის წარმატებული პროექტები, რომელიც თბილისში ერთი წლის განმავლობაში განხორციელდა, ბევრი ადამიანის თავდაუზოგავი მუშაობის შედეგია.

„მხოლოდ ერთი ადამიანი ვერ შეძლებდა გამკლავდებოდა პრობლემებს და განეხორციელებინა ის პროექტები, რომლებზეც დღეს მე ამაყად ვსაუბრობ. ეს იმ ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც მერიაში, გამგეობებსა და სხვადასხვა კომპანიაში, 24 საათის განმავლობაში მუშაობენ და თავს არ ზოგავენ იმისთვის, რათა ხვალინდელი თბილისი უფრო მოწესრიგებული იყოს და დედაქალაქის მოსახლეობამ თავი კომფორტულად იგრძნოს, თუმცა ქალაქში ბევრი გამოწვევა და პრობლემა რჩება. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო დედაქალაქის მოსახლეობას, რადგან ის მხარდაჭერა, რომელსაც თითოეული თქვენგანისგან ყოველდღიურ რეჟიმში ვგრძნობ, მაძლევს დამატებით სტიმულს, რომ არ გავჩერდე, ვიმუშაო დღე და ღამე პრობლემების მოსაგვარებლად. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჩვენი ქალაქი იყოს ყველაზე ლამაზი, მოწესრიგებული, გამართული ინფრასტრუქტურით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ეკოლოგიური მდგომარეობა გამოსწორდეს, იყოს ბევრი მწვანე სივრცე და ა.შ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა განვლილი ერთი წლის მუშაობის შედეგები კიდევ ერთხელ შეაფასა და აღნიშნა, რომ დედაქალაქის მერია გამოწვევებს მომავალშიც ღირსეულად უპასუხებს. თბილისის მერმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული რამდენიმე პროექტის ფარგლებში დახარჯულ თანხებზეც ისაუბრა. მისი თქმით, ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების მიმართულებით გაწეულმა ხარჯმა 306 მლნ ლარი შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ მთლიანობაში ამ პროგრამებით დაახლოებით, 170 ათასმა ადამიანმა ისარგებლა. მერმა ასევე აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ბევრ მოქალაქეს სჭირდება მხარდაჭერა და თანადგომა დედაქალაქის მთავრობის მხრიდან. შესაბამისად, მომავალი წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით ხარჯები 27 მლნ ლარით გაიზრდება. გარდა ამისა, ხარჯები გაიზრდება ინფრასტრუქტურული პროექტებისთვისაც.

„რას მელაპარაკებით, კაი კაცო...“

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე ვგმობ ძალადობას — ასე პასუხობს თბილისის მერი ჟურნალისტების კითხვას.

„ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ძალადობა. ამაზე ბევრჯერ გამიკეთებია განცხადება და ბევრჯერ გავიმეორებ. კატეგორიულად მიუღებელია ძალადობა, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური. ჩვენ თუ შევხედავთ ამ ყველაფერს პოლიტიკურ ჭრილში არჩევნების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ მათი ინსპირირებულია მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ის დღის წესრიგი, რაც შემოგვთავაზეს და რომელიც დაფუძნებული იყო სიძულვილზე, სიცრუეზე, ძალადობის მოწოდებებზე. ჩვენ მოვისმინეთ ფაშისტური განცხადებები და ამას სამწუხაროდ, რეაგირება და შეფასებები არ მოჰყოლია. დღეს, სამწუხაროდ, ყველამ ერთად მივიღეთ ის შედეგი, რაც მივიღეთ და ეს არის ძალიან ცუდი. კატეგორიულად მიუღებელია ის ლექსიკა და საუბარი, რასაც ჩვენ თვეების განმავლობაში ვისმენდით, პირდაპირ დედის გინებაზე იყვნენ გადმოსულები. კატეგორიულად მიუღებელია ძალადობა, კატეგორიულად მიუღებელია იმ ენით საუბარი სატელევიზიო ეთერებიდან, რასაც ჩვენ ამ თვეების განმავლობაში ვისმენდით. ეს ყველაფერი საზოგადოებაზე აისახება და ეს ქურთუკი არ არის, ადამიანმა გაიხადოს და თაროზე შემოდოს. სამწუხაროდ, ჩვენ დღეს ყველა ერთად ვიმკით იმ შედეგებს, რაც ხდებოდა ამ თვეების განმავლობაში. ყველა უნდა შევჯერდეთ — ხელისუფლება, ოპოზიცია, რომ ასეთი ლექსიკა ტელევიზიებიდან, დებატებიდან, კატეგორიულად მიუღებელია“, — განაცხადა კალაძემ.

ნერვების ომი

წერილი ფეისბუქზე გამოქვეყნებული ერთი პოსტით მინდა დავიწყო:

„ბერლინი. 1951 წელი.

ნაციონალურ-სოციალისტური პარტია უნტერ დენ ლინდენზე ატარებს საპროტესტო აქციას. ფაშისტური გაზეთის, „ფოლკიშერ ბეობახტერის“ რედაქტორად დანიშნული იულიუს შტროხერი, რამდენიმე დღის განმავლობაში ავრცელებს მოწოდებებს დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ, აყენებს შეურაცხყოფას ჭეშმარიტ გერმანელებს და კოჭების დახვრეტით იმუქრება.

ბანკირი შახტი და მისი დამქაში მიკრობანკები ყველანაირად ავიწროებენ ომის კრიზისიდან ჯერ ვერგამოსულ მოსახლეობას.

ტრიბუნაზე გვერდიგვერდ დგანან ერნსტ ტელმანი, ოტო სკორცენი და მურმან დუმბაძე (ეგ იქაც იყო).

რადიოკავშირით ხდება არგენტინაში გაქცეული ჰიტლერის ჩართვა.

ფაშისტების მოწინააღმდეგე მწერლის თომას მანის შვილი შტურმბანფიურერ აიხმანთან ერთად დგას აქციაზე და სრულ მარდაჭერას უცხადებს ნვდს ლეიტენანტს, რომელიც ამჟამად ნაციონალ-სოციალისტების ლიდერია.

რაიხსტაგის უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი საბოდიშო წერილს უგზავნის „ფოლკიშერ ბეობახტერის“ იმ ჟურნალისტს, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკების მსხვერპლთა დამცავი არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში შეიჭრა და პროვოკაციები მოაწყო.

ფაშისტების მიერ მოსყიდული ევროპელი დამკვირვებლები თვალს იბრმავებენ და „ფოლკიშერ ბეობახტერში“ შეშფოთებებს გამოთქვამენ.

რაიხსტაგის უმრავლესობა დუმს და შენობის თავზე საცოდავად ფრიალებს 6 წლის წინ დიდი ძალისხმევით ატანილი დროშა.

რაც არჩევნების შემდგომ დღეებში ვნახეთ, სხვას ვერაფერს დავარქმევ, თუ არა დამარცხებულთა ძალადობას გამარჯვებულთა მიმართ და ნერვების ომს.

ნაცების მთავარი პროპაგანდისტული განყოფილებიდან განუწყვეტლივ ისმის პროვოკაციებზე აგებული ძალადობრივი მოწოდებები. ხდება საზოგადოების დაბულინგება და მათი ნერვების გამოცდა. პარალელურ რეჟიმში „რ2“-ის გენერალური დირექტორი უშვერი სიტყვებით ილანძღება, იმუქრება და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ატერორებს იმ ხალხს, რომლებიც საკუთარი ინტელექტისა, თუ შინაგანი თავმოყვარეობის მიზეზით, პასუხს არ სცემენ მოძალადეს.

შეიძლება არც თუ ისე კორექტულად გამომივიდეს ნათქვამი, მაგრამ მინდა მივმართო ჩემს იმ მეგობრებს, რომლებიც ძალიან „ჰაეროვნად“ გმობენ ძალადობას.

კი ბატონო, ძალადობა ნამდვილად დასაგმობია, მაგრამ მაინტერესებს რატომ თვლით ქუთაისის აეროპორტში მომხდარ ფაქტს ძალადობად და არა იმ ძალადობაზე პასუხად, რომელსაც დამარცხებული პოლიტიკური ძალა ამ ბოლო ექვსი წლის მანძილზე ახორციელებდა (ის ცხრა წელიწადი კიდევ სხვა საქმეა)?

მაინტერესებს ამ პათეტიკური შეძახილების დროს, გაკვრით მაინც რატომ არ ახსენებთ იმ ადამიანებს, ვის მიერაც ჩადენილი დანაშაული სახელად — კოჰაბიტაცია ხდება საზოგადოების მხრიდან შესაბამისი რეაქციის რეალური მიზეზი?

აქ არ არის საქმე კონკრეტულად თაკო ჩარკვიანზე, ან კონკრეტულად ვინმე სხვაზე. აქ საქმე ზუსტად იმაშია, რასაც ჩემი მეგობარი თეა გაბადაძე თავის პოსტში წერს: **— ძალადობის მომხრე შეიძლება იყოს ფსიქიკურად გაუწონასწორებელი, არასრულფასოვანი ადამიანი, მაგ: ხალხი, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის სათავეში იყვნენ! 2012 წლიდან ეს მოძრაობა, ვინაიდან ვეღარ ძალადობს ხალხზე, ახდენენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას სრულიად საზოგადოებაზე! მათი მიზანი არის ყველანაირი ბინძური ხერხით ადამიანები გატეხონ მორალურად! მივჩვენ შევქმნით ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოს.**

ეს მოძრაობა (ნაცები), ვინაიდან ფიზიკურად ვეღარ ძალადობს ხალხზე, ახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას სრულიად საზოგადოებაზე! მათი მიზანია, ყველანაირი ბინძური ხერხით ადამიანები გატეხონ მორალურად!

აბსოლუტურად ვეთანხმები თეას!

სწორედ იმ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე ვამბობ ახლა მეც, რომელსაც რაც არ უნდა „პოეტურად და ტოლერანტულად“ შევხედოთ, ძალადობის ყველაზე საზიზღარი ფორმაა. ძალადობა, რომელიც წესით ხელისუფლებამ უნდა აღმოფხვრას, მაგრამ ამას არა თუ აკეთებენ, პირიქით, გამამხნევებელი დითირამბებით უფრო და უფრო მეტ გასაქანს ჰპირდებიან.

ყველაზე დიდ ძალადობად მიმაჩნია ის რეალობა, რომ მოსახლეობას არა აქვს საშუალება, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

თითქმის მთელი სატელევიზიო სივრცე აწყობილია იმ სტილზე, რაც თავის დროზე ბოკერია-სააკაშვილმა დაამკვიდრეს.

სტილზე, რომელიც უმთავრესად მუშაობს აგრესიაზე, ტყუილზე და ორმაგ სტანდარტებზე, ხოლო სხვადასხვა ტელეკომპანიებში მომუშავე ჟურნალისტებს თუ წამყვანებს, აქვთ ვითომდა კორპორაციული სოლიდარობა, რომელიც მათი თქმით ათავისუფლებს საკუთარი აზრის არა მხოლოდ გამოხატვისგან, არამედ ამ აზრის არსებობისგანაც კი.

რატომღაც მგონია, რომ ამ ხალხის ორმაგი სტანდარტების მთავარი განმსაზღვრელი ის პატარა ფიქრია, რომელიც წარმოშობს იმედს, რომ ოდესმე „კურიერში“ დაიწყებს მუშაობას და სწორედ ამიტომ როდესაც გმობენ ძალადობას ქუთაისის აეროპორტში, „ავიწყდებათ“ გვარამიას მიერ 31 მაისს პროკურატურასთან ჩადენილი ძალადობა.

„ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს!“ — ე.წ. „გაერთიანებული ოპოზიციის“ აქციის შემდეგ სოციალურ ქსელში მართავ „ქართულ ოცნებას“: **ექვსი წელია, აი ამ წარმოუდგენელი წნეხის ქვეშ იმყოფება ხალხი, რომელმაც თქვენ აგირჩია და ხმა მოგცა ერთი მიზეზით — მათი უფლებები იყოს დაცული და მათ თავისუფლებას საფრთხე არ შეექმნას! ნაცვლად ამისა, ჩვენ მივიღეთ პასუხად მუდმივი ფსიქოლოგიური ტერორი, დაუცველობის შეგრძნება და შეურაცხყოფის ნაკადი!**

და ახლა მინდა მე გაგცეთ პასუხი! ნაცმოძრაობა დღემდე გემუქრებათ დასამარებით და დაუმორჩილებლობით! ვუერთდები მათ მოთხოვნებს! და თუ ძალიან მოკლე ვადაში უმკაცრესად არ დასჯით მათ იდეოლოგებს, დაუმორჩილებლობას გამოგიცხადებთ მე, ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე და პირობას გაძლევთ ჩემთან ერთად სულ მოკლე დროში დადგება ის 100000-ზე მეტი თქვენი ამომრჩეველი, და ამით დავასრულებთ კოჰაბიტაციას! და იმის პირობასაც გაძლევთ, რომ იმ 100000-ზე მეტ ადამიანში აღმოვაჩენთ ხალხს, რომლებსაც ექნება პასუხისმგებლობის გრძნობა, განათლება, პროფესიონალიზმი! და რაც მთავარია, თავმოყვარეობა! და

კულტურის პალატის პრეზიდენტმა დავით ოქიტაშვილმა შემდეგი სახის პოსტი გამოაქვეყნა:

ბატონო ბიძინა!

700 000 ეს ციფრი საარჩევნო კომისიებში მომჯდარმა „ოცნების“, უმრავლეს შემთხვევაში ნაციონალმა წარმომადგენლებმა შექმნეს! (ყველაზე არ ვსაუბრობ, ვინც თავისი პრაქტიკულად სიცოცხლის ფასად იცავდა ნაციონალების წინააღმდეგ მიცემულ ხმებს!).

ეს ციფრი ვაჟბატონმა ვაშაძემ და ნაციონალურმა ხროვამ შექმნა ადრე დაბეჭდილი ყალბი პირადობის მოწმობებით და მათივე შექმნილი სიებით, რომლითაც დღემდე ხდება ხმის მიცემა!

და მესამე და ყველაზე მთავარი!

შეიხედეთ სახელმწიფო სტრუქტურებში, ვინ უზის ახლა ტელევიზორებს და ფრჩხილების კვნეტით შესცინინებს ამ აქციას?

ჩანერგილი ნაციონალები! სახელმწიფო სტრუქტურებში, თანამდებობებზე მომჯდარი ჯალათები, რომლებიც დღეს ვერ გავიდოდნენ აქციაზე, რათა ლუსტრაცია არ მომხდარიყო!

სწორედ მათ და საარჩევნო კომისიებმა შექმნეს ნაციონალებისთვის მიცემული 700 000 ხმა!

ესაა სიმართლე!

გატყუებენ, რომ არაა საკმარისი კადრები ქვეყანაში!

ტყუილია, რომ პროფესიონალების ნაკლებობაა სხვადასხვა სფეროში!

ათასობით პროგრესული, თავისი საქმის პროფესიონალი უმუშევრად ზის სახლში, ის ხალხი, რომელმაც 9 წელი იომა ნაციონალური რეჟიმის დროს და არ მოუთხოვია თანამდებობები 2012 წლის შემდეგ, ის ხალხი, რომელმაც გარეწარი ჩანერგილების მიერ გაყიდული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური მოიგო თქვენთან ერთად და ელოდება, რომ დასრულდება კოჰაბიტაცია და ქვეყანა დაიწყებს წინსვლას, ის ხალხი, ვისაც უყვარს ეს ქვეყანა!“ — წერს ოქიტაშვილი.

არ დაგიმალავთ და როცა ნაცების ძალადობის მაგალითებს ვუყურებ, გარკვეულწილად მსიამოვნებს, მსიამოვნებს, რადგანაც ვხედავ, რომ ქვეყანაში დიდი ლუსტრაცია მოხდა.

იხ. 4 გვ.

გრიგოლ ვაშაძე: ძალიან საინტერესო სიურპრიზებს მოვუმზადებთ ამ ხელისუფლებას!

გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე აცხადებს, რომ არჩევნების შედეგებს არასდროს აღიარებს და გაერთიანებული ოპოზიცია ხელისუფლებას ძალიან საინტერესო სიურპრიზებს მოუმზადებს.

მისი თქმით, არავითარი სისხლისღვრა არ იქნება და მათი პროტესტი საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის ფარგლებში დარჩება.

„ბერკეტები ჩვენ გვაქვს 800 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქის ხმა და ამაზე მეტი ქმედითი ბერკეტი ბუნებაში არ არსებობს. ამ ხელისუფლებას, უპირველეს ყოველისა, ეშინია და ყველაზე უფრო მეტად უფრთხის, საქართველოს მოქალაქეს და მის ხმას. მეორე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენ როდესაც ხელისუფლებას მივმართავთ, და ამ შეთავაზებას ვაკეთებთ, გვინდა, კიდევ ერთხელ დავანახოთ საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ჯერ ერთი, მთელი ოთხთვიანი პროპაგანდა იმაზე, რომ მოვა გაერთიანებული ოპოზიცია, რომელსაც ე.წ. ხელისუფლება ჯიუტად მოიხსენებს, როგორც მხოლოდ და მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობას“, დაიწყება არეულობა, რომელიღაც წარმომადგენელმა სიტყვა სისხლისღვრაც იხმარა. არავითარი სისხლისღვრა არ იქნება. ჩვენ ვაპირებთ კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობის და ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის ფარგლებში დარჩენას მუდამ. პროტესტს, რომელიც კანონით არის დაშვებული, აქვს ათასგვარი ფორმა და ძალიან საინტერესო სიურპრიზებს მოვუმზადებთ ამ ე.წ. ხელისუფლებას და კიდევ გაერთიანებული ოპოზიციას მოთხოვნებს, რომელიც მე ჩამოვთვალე, ემატება კიდევ სხვა პარტიის ხმები და ამაში თქვენ ძალიან მალე დარწმუნდებით“, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

„საპროტესტო ფონი ხელისუფლებისთვის უფრო ხელსაყრელია!“

„ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს და 16 დეკემბრამდე აძლევს ვადას იმისათვის, რომ შექმნას სამუშაო ჯგუფი. კერძოდ, ხუთი ადამიანის შემადგენლობით, სამოქალაქო საზოგადოების დაკვირვების ქვეშ, ცივილიზებულად, კონსტიტუციურად, ევროპულად იმსჯელონ პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის გეგმაზე.

*ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა პროპორციული საარჩევნო წესით ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაა. გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, სწორედ ამ პასუხზე იქნება დამოკიდებული მათი შემდგომი ნაბიჯები. პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ ხელისუფლებით უკმაყოფილობის ხარისხი ბევრად დიდია, მაგრამ ოპოზიციის მოთხოვნა ლოგიკას მოკლებულია.*

for. ge რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

— ოპოზიცია არჩევნების შედეგებს არ ცნობს და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს. თავისთავად ჩნდება კითხვა, თუკი არჩევნების ლეგიტიმაციას არ ცნობ, მაშინ ვადამდელ არჩევნებს რატომ ითხოვ და რატომ არა არჩევნების შედეგების გაუქმებას? რა გზას ირჩევს „ნაციონალური მოძრაობა?

რამაზ საყვარელიძე: თქვენ ლოგიკური საფუძველი გინდათ დაინახოთ „ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნაში?

— ძნელია, ამ მოთხოვნაში ლოგიკა დაინახო?

— რა თქმა უნდა. ამ მოთხოვნაში ლოგიკური არა, მაგრამ პოლიტიკური საფუძველი ნამდვილად არის. კერძოდ, რადგან აღმოაჩინეს, რომ მომხრეები ჰყავთ და ბევრი, შეიძლება უფრო შთამბეჭდავი წარმომადგენლობა ჰქონდეთ პარლამენტში. მით უმეტეს იმ პირობებში, როცა „ქართული ოცნების“ პოპულარობა დაბალია. მაგათმა ლიდერმა სააკაშვილმა მოუწოდა დაუმორჩილებლობის გამოცხადებისკენ, მაგრამ ამ პროტესტს ხომ უნდა ჰქონდეს თავისი ფორმა და მოტივი? ამიტომ, რაღაცა ხომ უნდა მოითხოვონ! ასრულებენ ცალკე მიშას დანაბარებს, ცალკე ისეთ რამეს ითხოვენ, რომელიც შეიძლება მათთვის სახეირო იყოს — ოღონდ თუ ჩატარდება არჩევნები და ვერ მიიღებენ იმ შედეგებს, როგორიც თვითონ უნდათ, იმ არჩევნებსაც გამოუცხადებენ უნდობლობას. ძალიან მარტივი ჩანაფიქრია.

— 700 ათასი ამომრჩეველი ბევრად მეტია, ვიდრე ეს იყო 2012 წელს და თუნდაც შემდეგ არჩევნებში. გასაგებია, რომ მოსახლეობა სამართლიანად არის გაბრაზებული ხელისუფლებაზე და ამ მიზეზებზე არაერთხელ გვისაუბრია, მაგრამ ეს 700 ათასი ამომრჩეველი ყველა „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველია, ხელისუფლებაზე გაბრაზების ფონზე ასე გაიზარდა მათი ამომრჩევლების რიცხვი?

— მეეჭვება, „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი ასე გაზრდილიყო. საჯარო დისკუსიებში და პირადი მსჯელობის დროს, იმ ადამიანს, რომელიც ამბობდა, რომ ვაშაძეს აძლევს ხმას, როცა ეკითხებოდი ამ ნაბიჯის მოტივს, როგორც წესი, მოტივად სახელდებოდა — „ოცნების“ მიერ დაშვებული შეცდომები, ანუ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის კანდიდატს რაღაცა პლუსები აქვს და იმიტომ ვაძლევ ხმას — ეს არ იყო მოტივი, არამედ „ოცნებით“ უკმაყოფილება — ეს იყო არსებითი მიზეზი იმისა, რომ ხმას აძლევდა „ნაციონალურ მოძრაობას“. ამიტომ, თქვენი კითხვის საპასუხოდ მინდა ვთქვა, რომ ეს 700 ათასი მათი ამომრჩეველი არ არის, „ოცნების“ გადამრჩეველი ხალხია, ვინც ირჩევს „ნაციონალურ მოძრაობას“.

— პრეზიდენტის არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ ოპოზიციის კანდიდატმა რამდენიმე დიდ ქალაქში გაიმარჯვა, მათ შორის საზღვარგარეთ ყველა უბანში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ოპოზიციამ გაიმარჯვა ავღანეთში. როგორ ფიქრობთ, რამდენად მძიმე ჩავარდნაა ხელისუფლებისთვის, როდესაც მის კანდიდატს, ან მთავარსარდალს მხარს არ უჭერს შეიარაღებული ძალები?

— სამწუხარო ფაქტია, როდესაც ხელისუფლების მიერ წამოყენებული მთავარსარდლის კანდიდატურა ჯარისგან მხარდაჭერილი არ არის. გასარკვევია, რამ შეასრულა როლი, რა მოხდა, როგორი იყო თავდაცვის სამინისტროს ფუნქცია ამ ყველაფერში და ა.შ. ძალიან ბევრი ფაქტორია, რაც უნდა გაარკვიოს ხელისუფლებამ და უნდა იცოდეს, რა გახდა ჯარის უარის მოტივი. უნდა ეცადოს, რომ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები, რომ შეიარაღებული ძალები არ იყვნენ ნაწყენი ხელისუფლებაზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

— როგორ ფიქრობთ, ამას მოახერხებს თავდაცვის სამინისტრო?

— არ ვიცი, რთული საკითხია. მაგრამ ეს მოვლენა, რომ თავდაცვის სამინისტროს უყურადღებობის შედეგია, ფაქტია. პრინციპში, პრეზიდენტის არჩევნებმა აჩვენა მთელი ხელისუფლების მეტ-ნაკლები ჩავარდნა. ამ ხელისუფლების ბედად ნაციონალები არიან ალტერნატივა, თორემ ხელისუფლებით უკმაყოფილობის ხარისხი რომ ბევრად დიდია, ეს ყველაფერში ჩანს.

— არის ასეთი მოსაზრებაც, რომ უმჯობესია ხელისუფლება წავიდეს ვადამდელ არჩევნებზე, რადგან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, შესაძლებელია, „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ მეტი ამომრჩეველი დაკარგოს. 2012 წლის შემდეგ ნელ-ნელა კარგავს ამომრჩეველს და პრეზიდენტის არჩევნები ამის დასტური იყო. როგორ ფიქრობთ, 2020 წლის არჩევნებზე შეიძლება ბევრად მეტი ამომრჩეველი დაკარგოს ხელისუფლებამ?

— შეიძლება ითქვას, რომ ამომრჩეველი, ნაწილობრივ, დაკარგულიც არის. ვგულისხმობ ხელისუფლების ტიპურ ამომრჩეველს. დავაჯამაოთ: 50%, რომელიც პირველ ტურში არ მივიდა, ეს იყო „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი, რომელმაც პრაქტიკულად, უარი თქვა „ქართულ ოცნებაზე“. ეს ნახევარი მოსახლეობაა. დარჩენილი ნახევრის ნახევარმა ხმა მისცა ოპოზიციას. ძალიან მძიმე სურათი იხატება. ეს იყო პრეზიდენტის არჩევნები და საპარლამენტო არჩევნებში ასეთი ალტერნატივა არ არის, ამომრჩეველს შეუძლია ყველა პარტიას მისცეს ხმა.

ის რომ, ალტერნატივა არის „ნაციონალური მოძრაობა“ და თუ არ აირჩევ „ოცნებას“, მაშინ „ნაციონალური მოძრაობა“ შეგრჩება ხელში, საპარლამენტო არჩევნებში ამ ხერხმა შეიძლება არ იმოქმედოს, იმიტომ, რომ სხვა პარტიებს მისცემენ ხმას და რაოდენობა გაიშლება. თუ დღევანდელი პირობებით ვილაპარაკებთ, მაშინ ხელისუფლებისთვის ეს ვარიანტი წამგებიანია.

— ის რომ, ალტერნატივა არის „ნაციონალური მოძრაობა“, ეს ხელისუფლების მთავარი ბრალეულობაა? სამართლიანობის აღდგენის პრობლემა ისევ დგას, ადამიანებმა სამართალი ვერ იპოვეს. გასაგებია, რომ სისტემას არ მოუკლავს დათო სარალიძე, მაგრამ სისტემამ ხელი დააფარა დამნაშავეებს და დღეს „ნაციონალურ მოძრაობას“ მძევლად ჰყავს აყვანილი მამა, რომელიც ითხოვს მკვლელების დასჯას. არის პრობლემები და შეცდომები, რომელიც ამ ხელისუფლებამ გაიმეორა...

— აბსოლუტურად გეთანხმებით. ამ ხელისუფლების ბრალია, რაც ხდება, რადგან ამ ხელისუფლებას თუნდაც მხოლოდ სამართლიანობის აღდგენა რომ მოეხერხებინა, შემდეგ უკვე ეკონომიკურ თემებზე მის მიმართ ასეთი მწარე რეაქცია არ იქნებოდა. ეკონომიკაზე და სოციალურ საკითხებზე ასეთი რეაქცია იმიტომ არის გადატანილი, რომ ისიც არ გაკეთდა და თან სიღარების ზღვარი იზრდება. გამოდის, რომ ხელისუფლებამ არაფერი არ გააკეთა. არაფრის კეთებას დიდი აღფრთოვანებით არ ხვდება ხოლმე ადამიანი.

— პირველი და მეორე ტურის შედეგები რამდენად საყურადღებო და გასათვალისწინებელია ამ ხელისუფლებისთვის? შეიძლება, ეს არჩევნები ჩაითვალოს „ქართული ოცნების“ გამარჯვებად, თუ იმ ადამიანების გამარჯვებად, რომლებიც გაბრაზებული არიან როგორც ხელისუფლებაზე, ასევე „ნაციონალურ მოძრაობაზე“, რომლებმაც არ დაუშვეს ყოფილი ხელისუფლების დაბრუნება, მაგრამ ამ ამომრჩეველს შეუძლია მმართველობიდან გაუშვას ხელისუფლება, ეს ფაქტორი გამოჩნდა პრეზიდენტის არჩევნებში?

— ივანიშვილიდან დაწყებული ყველა ხაზს უსვამს, რომ არჩევნების შედეგების ძირითადი ავტორი გახლავთ მისი უდიდებულესობა ხალხი. ივანიშვილმაც კი, თავის თავზე და პარტიაზე არ ილაპარაკა, სამადლობელი სიტყვით მიმართა საზოგადოებას. იგივე პათოსით გააგრძელა ყველა შემფასებელმა და ამ შემთხვევაში, ეს არის ხალხი. გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“, რომელიც ვერაფერს ვერ ხვდება. ვერ ხვდება იმას, ხალხის დიდ ნაწილს მისი ძალაუფლებაში ყოფნა არ სურს.

— რამდენად რთულ ვითარებაშია ხელისუფლება, თუნდაც იმიტომ, რომ ოპოზიცია ნელ-ნელა იწყებს საპროტესტო ფონის შექმნას?

— ვფიქრობ, ეს საპროტესტო ფონი ხელისუფლებისთვის უფრო ხელსაყრელიც არის, როგორც ბევრი რამ, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი აგრესიულობით აკეთებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლების მდგომარეობა საშური ნამდვილად არ არის.

თამთა ძარჩავა

◎ დამარცხებულთა ძალადობა

ნეკვეზის თამი

(მესამე გვერდიდან)

და რაც არ უნდა იფხაკუნონ კოჰაბიტანტებმა, „გავლენიანმა არასამთავრობოებმა“, ევროპის ე.წ. სახალხო პარტიამ და მსგავსმა მუწუკებმა, დღეს საბოლოოდ დადასტურდა, რომ ერთადერთი რეალური ოპოზიციური ძალა არის საქართველოს პატრიოტთა ალიანსი.

მისი ლიდერის ირმა ინაშვილის პოლიტიკური მოთხოვნები და არსებული ვითარების ხისტი შეფასებები არის არსებული რეალობისადმი ხალხის დამოკიდებულების გახმიანება.

ახლა არ მითხრათ, 25-ში თავისუფლების მოედანზე ხალხი „ოცნებამ“ მოიყვანაო.

„ოცნებას“ რომ შეძლებოდა, 2 დეკემბერს მოიყვანდა.

ნაცებმა კარგად შეაფასეს თავიანთი შესაძლებლობები და ახალი ტაქტიკა შეიმუშავეს: მოიგონეს ახალი „ლოზუნგი“, „სალომე ზურაბიშვილს პოლიტიკური ლეგიტიმაცია არ გააჩნიაო“ და საარჩევნო კოდექსის შესაცვლელად, ხელისუფლებას „თანამშრომლობას“ სთავაზობენ.

ეს ფანდი მათ დასავლეთთან საკეკლუცოდ და საინფორმაციო ველზე დარჩენისთვის სჭირდებათ. ხელისუფლებას აქვს სრული უფლება, რომ არ აჰყვეს ამ პროვოკაციას

და არ ითამაშოს ნაცების თამაში, მაგრამ იმ ფონზე, როცა უმრავლესობის წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი ბოდიშს უხდის „რ2“-ის პროვოკატორ მარიამ გაფრინდაშვილს იმის გამო, რომ ვითომდა ნანა კაკაბაძემ მასზე იძალადა, კოჰაბიტაციის გაგრძელების იმედი ნამდვილად ექნებათ. არადა, სინამდვილეში ყველამ ვნახეთ, თუ როგორ დადო მარიამ გაფრინდაშვილმა ვიდეოკამერის რაღაც დეტალი კიბეებთან, რათა ძალადობის ფაქტი დაედასტურებინა.

მინდა ვუთხრა ნაციონალურ მოძრაობას და მის სატელიტებს. თქვენს პოლიტიკურ ძალას არსებობის არც პოლიტიკური და არც მორალური ლეგიტიმაცია არ აქვს და თუნდაც ამიტომ თქვენი მხრიდან გახმიანებული ნებისმიერი შეფასება „ლეგიტიმური“ კი არა, უბრალოდ სასაცილოა.

რაც არ უნდა ვწეროთ, რაც არ უნდა ვლანძღოთ მკვლელები და მოძალადეები, რაც არ უნდა ვიღადაოთ ღრიშას ულვაშებზე, ლანჩხუთის დამბინძურებელ ასკურავაზე, ევრონაცების „ორპირობაზე“, ან მიჰას მარაზმატიკულ იდეებზე, სანამ ყველაფერს თავის სახელს არ დავარქმევთ, არაფერი გამოვა.

პირდაპირ ვთქვათ, რომ ჩვენი ფეისბუკ-მოთხოვნები, აღდგეს სამართლიანობა, დაისაჯონ ფსიქოლოგიური მოძალადეები, შეწყდეს მედიის მონური დამოკიდებულება „რ2“ ის მიერ დაწესებული თამაშის წესებისადმი, არის სრული აბსურდი!

ლუსტრაცია მოხდა!

ვნახეთ ოცნების მიერ წაგებული პირველი ტური. ვნახეთ ხალხის მოგებული მეორე ტური. დავინახეთ ყველას ნამდვილი სახე და საოცარია, რომ ამ ორი დღის შემდეგ თავად საკუთარი თავი ტარიელ მკლავაძეები ჰგონიათ და ჩვენ სპირიდონ მცირიშვილებად მივაჩნივართ.

ჩვენ არ მოვითხოვთ პურს და თქვენ არ ხართ საფრანგეთის პრინცესა, რომელმაც ხალხის მოთხოვნაზე პური გვინდაო, უპასუხა, ფუნთუშები ჭამეთო.

ჩვენ ღირსების დაბრუნება გვინდა.

სწორედაც რომ ღირსების დაბრუნება, რაც ხელისუფლების უმთავრესი ვალდებულებაა!

ერთადერთი მოთხოვნა, რაც დღეს საქართველოს მოსახლეობას აქვს, არის არა კოჰაბიტაციას!

დიახ, არც პური, არც საბანკო ვალები, არც უმუშევრობა, არც ევროკავშირი, ან ნატო, არამედ არა კოჰაბიტაციას!

არა კოჰაბიტაციას, რადგანაც ამ უმაღლესი მორალური პრინციპის აღსრულება მოიტანს დასაქმებას, მოიტანს ფინანსური ყაჩაღების ბოგინის დასრულებას და მოიტანს პურს! მოიტანს ევროკავშირს და მოიტანს ნატოს, რადგანაც უღირსი ხალხი არცერთს არ სჭირდება.

მივმართავ პოლიტიკოსებს, იმ პოლიტიკოსებს, ვისთვისაც უმთავრესი ხალხისთვის ღირსების დაბრუნებაა, იბრძოლეთ არა იმ მოთხოვნებისთვის, რაც მხოლოდ დროებით გააძღობს კუჭს, არა იმ ეფემერული მოთხოვნებისთის, რაც მხოლოდ და მხოლოდ მედიასივრცეში ტივტივის საშუალებას იძლევა, არამედ იბრძოლეთ კოჰაბიტაციის აღმოსაფხვრელად!

იბრძოლეთ ამისთვის და ხალხი აუცილებლად გამოგყვებათ!

ახლა კი ჯერი ხელისუფლებაზეა. ხელისუფლების ჯანსაღ ნაწილზე, რადგანაც, თუ ამ უახლოეს დღეებში ქმედითი ნაბიჯები არ გადადგა, ხალხი ვერ გაუძლებს ამ გაუთავებელ ნერვების ომს და თავად დაიწყებს სამართლიანობის აღდგენას, რაც ნამდვილად მძიმე შედეგების მომტანი გახდება.

გია გაბრიჭიძე

„ვინ არის, ბიჭო, შენი პედერასტი, მე ვარ, ბიჭო, ცისფერი?“

ძვეძნის უმაღლეს ორგანოს — პარლამენტს, დაბადებიდანვე ერთი ჭირი შეუჩნდა — დეპუტატების ნაწილს შორის მუდმივი ფიზიკური დაპირისპირება და მუშტის დახმარებით ანგარიშსწორება. ამ კუთხით არაერთი „სისხლიანი ფაქტი“ გვაქვს და დღევანდელ წერილში ზოგიერთი, განსაკუთრებით „ხმაურიანი ამბის“ გახსენებას შევეცდებით.

ნება მომეცით ქართული საპარლამენტო „მუშტი-კრივის ანთოლოგია“ წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან დავიწყო. დამოუკიდებელი ქართული პარლამენტის ერთ-ერთი „თვალსაჩინო პირველი ინციდენტი“ **ნოდარ ნათაძესა** და **რომან გოცირიძეს** „შეემთხვათ“. ალბათ, გახსოვთ ე. წ. „კარვის ქალები“ და საქმენი მათი საგმირონი.

ბატონი **თემურ მირიანაშვილი** ამ ამბავს შემდეგნაირად იხსენებდა.

„ერთხელ გულდაწყვეტილმა რომან გოცირიძემ შემომჩივლა, სირბილში მარცხი ვიწვნიე, ნოდარ ნათაძემ თავი მომჭრაო. გამიკვირდა, შენ ახალგაზრდა კაცი ხარ და მოხუცმა სირბილში როგორ გაჯობა-მეთქი. იმ დროს პარლამენტის შენობა ქალებს ჰქონდათ ბლოკირებული, აქციებს მართავდნენ, შიგნით არავის უშვებდნენ. არადა, რომანს და ნოდარს იქ უნდოდათ თურმე შესვლა. მერე როგორღაც, შეძვრნენ და კუთხის შესასვლელიდან შეიპარნენ. მათი შესვლა ქალებს შეუმჩნეველი არ დარჩათ. ჯერ ბუზღუნი დაიწყეს და მერე უფრო გაავდნენ. ამ დროს რომანი წინ გარბოდა, ნოდარი კი უკან მისდევდა. აქციის მონაწილეები გაკაპასდნენ და იყვირეს — მოდით, ამათ ვაჩვენოთ ახლა სეირი და ნოდარ ნათაძეს შარვალი ჩავხადოთო. ეს რომ გაიგო ნოდარმა, თურმე, ისეთი მტვრის ბუღი დაუყენებია შენობაში, ხალხს თვალებზე ბინდი გადაეკრა. ნათაძემ გოცირიძე ხომ ჩამოიტოვა უკან და შემფასებლები რომ ყოფილიყვნენ, ნოდარი ჩქაროსნულ სირბილში რეკორდს მოხსნიდა ნამდვილად“.

ბატონი ნოდარი შარვლის ჩახდას გადაურჩა, თუმცა ფილმი „რეკორდის“ მთავარი გმირისა არ იყოს, მისი სპორტული მიღწევაც აღუნიშნავი აღმოჩნდა.

შემდეგი „გმირი“ ყოფილი დისიდენტი **ირაკლი წერეთელი** გამოდგა.1993 წლის 2 ივნისის სხდომაზე ირაკლი წერეთელმა პარლამენტს აცნობა, რომ დილით დაუდგენელი პირი თავს დაესხა. მაგრამ, როგორც ჩანს, თავდასხმა წარმატებით იქნა მოგერიებული, რადგან წერეთლის თქმით, იმ ნაძირალას საკადრისი მიუზღო და მოძალადის თავდასხმა საკუთარი ძალებით მოიგერია. ვინ იყო ეს ადამიანი და რა ვერ გაიყო წერეთელთან, ეს დღემდე არავინ იცის.

გამოხდა ხანი. პარლამენტში ახალი „კადრები“ გამოჩნდნენ, მათ შორის განთქმული „ჩხუბისთავებიც“. ამ კატეგორიის ლიდერის „ყვითელი მაისური“ უპირობოდ **ვახტანგ რჩეულიშვილს** ეკუთვნოდა.

ბატონი ვახტანგის პირველი „მსხვერპლი“ პოლიტიკოსი-მორბენალი, შარვლის ჩახდას გადარჩენილი ნოდარ ნათაძე აღმოჩნდა. 1992-95 წლების პარლამენტში ყოფნისას, შევარდნაძის გვერდით გამოჯგიმულმა რჩეულიშვილმა „ბორჯომი“ მშვიდად ჩაისხა ჭიქაში და ნოდარ ნათაძეს სახეში „ვაჟკაცურად“ შეასხა.

რჩეულიშვილის მორიგი დაპირისპირებები უფრო „მძაფრი“ გამოდგა.

ყველაზე სკანდალური **რჩეულიშვილი-მაჭავარიანის** ჩხუბი იყო. **„ვინ არის, ბიჭო, შენი პედერასტი, მე ვარ, ბიჭო, ცისფერი?“** — გაჰკიოდა მიშა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მაჭავარიანმა საფერფლე ესროლა რჩეულიშვილს და თავი გაუტეხა.

ერთი პერიოდი ვახტანგ რჩეულიშვილი პარლამენტში ყელშეხვეული დადიოდა და ამბობდა, უწყლო აუზში ჩავხტიო... თუმცა, მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის სცემეს. სხვათა შორის, როცა პარლამენტს სოცლიდერის გალახვის ფაქტი მოედო, თითქმის ყველა ერთხმად აცხადებდა, ახია რჩეულიშვილზე, დიდი ხნის წინათ უნდა ეცემათო...

ნოდარ გრიგალაშვილი ბორჯომის მაჟორიტარი იყო. სამცხე-ჯავახეთში ვახტანგ რჩეულიშვილის სიმამრმა რამდენიმე ჰესი ოფიციალურად შეისყიდა. გრიგალაშვილსა და რჩეულიშვილის სიმამრს შორის ინტერესთა კონფლიქტი სწორედ აქ გაჩნდა. ამით გაღიზიანებულმა გრიგალაშვილმა ერთხელ, სხვა ნაციონალებთან ერთად განაცხადა, რჩეულიშვილი თბილისიდან უნდა გავასახლოთ, ეგ და მისი სიმამრი კონტრაბანდისტები არიანო. ეს იყო და ეს. მეორე დღეს პარლამენტში მისულ გრიგალაშვილს რჩეულიშვილისგან თავში მუშტი მოხვდა. მაშინ პირველი სოციალისტი გამწარებული გაიძახოდა, მე „კარენნოი“ თბილისელი ვარ, ამ მათხოვარმა ეს რა მაკადრაო. ასე შერჩა გრიგალაშვილს თავში თხლეშა.

გრიგალაშვილმა, თავის მხრივ, **გია ბარამიძეს საქვეყნოდ უთხრა, შენ კი ხარ კაი ბიჭი, მაგრამ ჟვანია და მისთანები არაპოპულარულ განცხადებებს შენ გაკეთებინებენ და ვისაც როგორ უნდა, ისე გიყენებსო.** ამის გამო გრიგალაშვილმა ბარამიძეს **„ლეღვის ფოთოლი“** შეარქვა. შეარქვა და მოხვდა კიდეც.

საერთოდ, პარლამენტში მოჩხუბრები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ცემა-ტყეპის მოყვარულნი და ინტელიგენტურად დედის მაგინებლები. ვახტანგ რჩეულიშვილი და ახალგაზრდა **პეტრე ცისკარიშვილი** ჩხუბში პირველობას არავის უთმობდნენ.

ის თუ გახსოვთ, **დავით კერესელიძემ** პეტრე ცისკარიშვილს ლოყაზე რომ „მოუთათუნა“. **მაშინ კერესელიძემ სააკაშვილს პატარა შევარდნაძე უწოდა.** ბოსის შეურაცხყოფით შეურაცხყოფილმა ცისკარიშვილმა კერესელიძეს ხურდა დაუბრუნა. ვალში არც კერესელიძე დარჩა და ცისკარიშვილს საყელოში სწვდა, მიკროფონს მოსწყვიტა და გარეთ გაათრია. მერე ცისკარიშვილს მოწინააღმდეგეთა მთელი ფრაქცია შეესია და, ჯამში, დაჭრილ-დაკაწრული აღმოჩნდა. ორ დღეში ცისკარიშვილი კერესელიძეს ღიმილით მიუახლოვდა და კაი გემრიელი ალიყური აჭამა, იმანაც ცისკარიშვილს ლოყაზე ჩამოფხაჭნა.

ამ დღიდან არ გასულა დიდი ხანი და ცისკარიშვილი ისევ გაეხვია დავიდარაბაში. მთელმა საქართველომ ტელევიზიით იხილა — როგორ გაათრია ფოიეში კერესელიძემ მიკროფონთან მდგარი ცისკარიშვილი, **ამ გაწევ-გამოწევაში კი ცისკარიშვილს ვიღაცამ სახე დანით დაუსერა. ცისკარიშვილმა თქვა, ეს დავით საგანელიძემ ჩაიდინაო. რამდენიმე დღეში ცისკარიშვილმა საგანელიძეს კასტეტი ჩაარტყა. მაშინ ის პროკურატურამ ლამის დაიჭირა, მაგრამ სამართალდამცავებს წინ დეპუტატის იმუნიტეტი გადაეღობათ.**

შევეშვათ ცისკარიშვილ-რჩეულიშვილის „დუეტს“ და იმ დეპუტატების „საქმენი“ გავიხსენოთ, რომლებიც ჩხუბისთავთა კატეგორიას ნამდვილად არ მიეკუთვნებოდნენ.

თურმე **ედვარდ სურმანიძესაც** შეძლებია კონტროლის დაკარგვა. მისი დამრტყმელი ძალა ძირითადად ფეხები ყოფილა. პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე სურმანიძემ **კაკუბავას რუსეთის აგენტი უძახა,** ამაზე კაკუბავამ სურმანიძეს გვარიანად შეუკურთხა და საპასუხოდ გვარიანი წიხლიც მოხვდა. **მერე კაკუბავა იძახდა, სურმანიძეს ის ფეხი უნდა მოვაჭრა, რომელიც ჩამარტყაო.**

ყველაზე „სასაცილო“ **ვიტალი ხაზარაძის** და **გიორგი გულიაშვილის** ჩხუბი ყოფილა. **გულიაშვილმა თავის დროზე პარლამენტში ასლან აბაშიძე ჩაანაცვლა,** ის ადრე პრეზიდენტის დაცვაში მუშაობდა და ფიზიკურადაც კარგი ნავარჯიშები გახლდათ. ხაზარაძემ კი გაიწია გულიაშვილისკენ, მაგრამ მას სწორედ გულიაშვილის ფიზიკური მონაცემების შეეშინდა და მისი პათოსიც ისეთი იყო: **„დამიჭირეთ, არ მიმიშვათო“.**

ჯემალ გოგიტიძესა და თამაზ ნადარეიშვილს შორის თითქმის მთელი პარლამენტი ჩადგა და ყველაფერი დედის გინებით დასრულდა. გოგიტიძემ ნადარეიშვილს რუსეთის აგენტი ეძახა: „შენ არ გინდა აფხაზეთში დაბრუნება, იმიტომ, რომ აქ შენი ფრაქციით მშვენივრად გრძნობ თავს“. „ვის არ უნდა დაბრუნება, შე ნაძირალა, ეს ასლანი აფინანსებს აფხაზებს და აგენტი შენ თვითონ ხარ“. დაახლოებით ასეთი გადაძახილი გაიმართა მათ შორის, მერე კი ერთმანეთზე გაიწიეს.

გაგიკვირდებათ და მოჩხუბართა კატეგორიაში **სანდრო ბრეგაძეც** მოხვდა. ერთ-ერთი სხდომის დასრულების შემდეგ **ბრეგაძეს „უწყინარ“ კობა დავითაშვილთან შეკამათება მოუვიდა. როდესაც საკუთარი სიმართლე ვერ დაამტკიცა, დეპუტატი სანდრო კოლეგა კობას კატასავით ზურგზე შეახტა და რამდენჯერმე თავში ხელი ჩაარტყა...**

სანტიაგო გაუჩო

ქვემო ქართლის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

ქვემო ქართლში 2600 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ იმირასანის

სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალური არხის რეაბილიტაციას ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში, მდინარე მაშავერაზე განთავსებულ სათავე ნაგებობაზე შეიცვლება გამრეცხი გალერეის ფარები თავისივე ამწე მექანიზმებით, დამონტაჟდება ლითონის გისოსები.

რეაბილიტირდება იმირასანის მაგისტრალური არხის 5,5-კილომეტრიანი მონაკვეთი. არსებული გრუნტის არხი მოპირკეთდება ბეტონით. სამუშაოები 2 ლოკაციაზე მიმდინარეობს. მიწის ტრაპეციული არხი, რომელიც სოფელ ჭაპალას მჭიდროდ დასახლებულ უბანში გადის, შეიცვლება ბეტონის მართკუთხა ფორმის არხით. არხზე ასევე, მოეწყობა წყალაღების კვანძი, წყალაღების კვანძი შემტბორავით, გამანაწილებელი ჭა, საავტომობილო და საფეხმავლო ხიდები.

აღდგენილი საირიგაციო სისტემით ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაპალასა და სავანეთის 2600 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება წყალუზრუნველყოფა.

საქართველოს მელიორაციამ ბოლო 6 წლის განმავლობაში ქვემო ქართლის მხარეში, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 39 სარეაბილიტაცო პროექტი განახორციელა, რომლის შედეგად, დამატებით 23 473 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გახდა წყალუზრუნველყოფილი, ხოლო წყლის მიწოდება 22 517 ჰექტარზე გაუმჯობესდა.

აჭარის მთავრობამ ხანძრით დაზარალებულთათვის 377 042 ლარი კომპენსაცია გასცა

მიმდინარე წლის აგვისტო-ოქტომბრის პერიოდში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად აჭარის მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან 50 000 ლარი გამოყო. აღნიშნულ პერიოდში ხანძრის შედეგად ქედის მუნიციპალიტეტში ორი, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტში სამი ოჯახი დაზარალდა. მათ შორისაა ხულოს მუნიციპალიტეტის ღორჯომის თემის სოფელ ჭახაურში მცხოვრები ოჯახი, სადაც ხანძარს ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

„სამწუხაროდ, ხანძარმა ხუთივე ოჯახი უსახლკაროდ დატოვა. ჩვენ თითოეულ მათგანს დადგენილებით გათვალისწინებულ მაქსიმალურ თანხას — 10 000 ლარს გამოვუყოფთ. კომისიის რეკომენდაციით, ჯამში 50 000 ლარი გაიცემა. უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ჭახაურში მცხოვრებ ოჯახს, სადაც ტრაგედია დატრიალდა, დახმარება ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამაც გაუწია“ — აღნიშნა შერეული სამთავრობო კომისიის თავმჯდომარემ ზაალ მიქელაძემ. ოჯახების დასახმარებლად აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ჯამში 377042 ლარი გაიცა.

◎ იმედგაცრუება ბიტკოინით

ციფრული „საპნის ბუშტები“ ერთიმეორის მიყოლებით სკდება

წლის ყველაზე დიდი იმედგაცრუება ციფრული ვალუტების ინდუსტრიას უკავშირდება. ამ კუთხით მთელი მსოფლიო ზარალს ითვლის და გამონაკლისი არც საქართველოა. იანვრიდან მოყოლებული ბიტკოინის ღირებულება 15 000 დოლარით შემცირდა და როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, ტენდენცია კიდევ გაგრძელდება.

ციფრული მონეტების სამყაროში დაღმავალი ტენდენცია კვლავ გრძელდება – გასული 24 საათის განმავლობაში, საბაზრო კაპიტალიზაციით უმსხვილესი 100 კრიპტოვალუტიდან 64-ის ღირებულება კვლავ გაუფასურდა, რასაც რამდენიმედღიანი ვარდნა უძღოდა წინ.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაწყებული მცირეხნიანი აღმასვლა მხოლოდ დროებითი მოვლენა აღმოჩნდა და 2018 წლის ბოლოსკენ კრიპტოვალუტების ფასის გამყარებასთან დაკავშირებული მოლოდინები არ გამართლდა.

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული და ყველაზე პოპულარული ციფრული ვალუტა ბოლო პერიოდის განმავლობაში კატასტროფას განიცდის, მისი „მომპოვებლები“ კი დიდი ფინანსურ დანაკარგის წინაშე დგანან. შარშან დეკემბერში 1 ბიტკოინის ღირებულება 20000 დოლარს აღწევდა, იანვარში – 19 000 დოლარს, დღეს კი მისი ფასი 3900 დოლარზე ნაკლებია. პირველად 2017 წლის სექტემბრის შემდეგ ბიტკოინის ღირებულება 4000 დოლარს ჩამოსცდა და მაღლა ასვლასაც ვერ ახერხებს.

ერთ-ერთი ვერსიით, ბიტკოინის ფასის ვარდნას სხვადასხვა ფაქტორთან ერთად უკავშირებენ იმ შეზღუდვას, რაც ელექტრონული ფულის წინააღმდეგ ჩინეთის ხელისუფლებამ დააწესა. ცნობილია, რომ აზიური ქვეყნის მთავრობამ შეზღუდა ქვეყანაში ბიტკოინის მაინინგი (გამომუშავება), ასევე, გადაწყვიტა ყველა იმ ვებ-გვერდის დაბლოკვა, რომლებიც ციფრული ვალუტით ვაჭრობასთანაა დაკავშირებული.

3 წლის წინათ კრიპტოვალუტების ბუმმა მისდამი დიდი ინტერესი გამოიწვია და მაინინგის პროცესში მთელს მსოფლიოში ძალიან ბევრი ადამიანი ჩაერთო. თუმცა 2018 წლის შედეგებით, ვინც აღნიშნულ პროცესში 2017 ბოლოსკენ ჩაერთო, მან დიდი ალბათობით, დიდი ზარალი ნახა.

ერთ-ერთი მათგანი შონ რასელია.

„2017 წლის ნოემბერში 120 000 დოლარის ღირებულების ბიტკოინი შევიძინე და სულ რაღაც 1 თვეში მისმა ღირებულებამ 500 000 შეადგინა. ვფიქრობდი, რომ ყველაფერი კარგად მიდიოდა“, – ამბობს რასელი, რომელიც ახლა მხოლოდ ზარალს ითვლის.

იგივე შეიძლება ითქვას ქართველ მაინერებზე. საქართველოში დიდი ცენტრების გარდა, უამრავი საოჯახო „მაინინგ-ფერმები“ მუშაობდა. მათი დიდი ნაწილი ახლა გაჩერებულია.

საბანკო სფეროს ექსპერტი მიხეილ თოქმაზიშვილი მიიჩნევს, რომ ციფრულ ვალუტებს დიდი მომავალი არ აქვს და მათზე მაღალი ფასი მხოლოდ ხელოვნური აჟიოტაჟით იყო გამოწვეული.

„ბიტკოინი კრიპტოვალუტაა, რომელიც არ არის გამაგრებული რამე განსაკუთრებული ღირებულებით. რაღაც პერიოდის განმავლობაში ბიტკოინს მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც ჰქონდა აგრესიული და ინტენსიური რეკლამა, რამაც მიიზიდა საკმაოდ ბევრი ინვესტორი. აგორდა აჟიოტაჟი, მაგრამ არ გაითვალისწინეს, რომ ეს ყველაფერი მცირე დროის შემდეგ ნელდება. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც, რაც მოსალოდნელი იყო და მომავალშიც გაგრძელდება.

ხელოვნური მანიპულაციით ბიტკოინის ფასის ზრდა შესაძლებელია, თუმცა, მერწმუნეთ, ეს მხოლოდ დროებითი პროცესი იქნება“, – განაცხადა თოქმაზიშვილმა.

ბექა დანელია

◎ SIC! SIC! SIC!

ხოჭო კოშენილისგან მიღებულ ექსტრაქტს საკვებ პროდუქტებში გვაპარებენ

იოგურტი, კანფეტები, სპირტიანი და გაზიანი სასმელები, შეფერილი ტკბილეული, ნაყინი, – ეს იმ პროდუქტების არასრული ჩამონათვალია, რომელშიც კარმინს, ანუ წითელი ფერის ბუნებრივ საღებავს იყენებენ. კარმინი, იგივე კოშენილის ექსტრაქტი, (Natural red 4, CI75470, E120, კარმინის მჟავა) არის მკვეთრი ფერის პიგმენტი, რომელიც მიიღება პარაზიტი ხოჭო კოშენილის ექსტრაქტის ქიმიური დამუშავებით.

კარმინს შესაფერად იყენებენ კვების მრეწველობაში, კანფეტებში, იოგურტში, ჯემებში, შეფერილი ხორცის ნაწარმში (ძეხვი, სოსისი, მათ შორის, სამარხვო ძეხვშიც), გაზიან და სპირტიან სასმელებში, ზოგიერთ „ნატურალურ წვენში“. საქმე ისაა, რომ კარმინის მჟავა წყალში კარგად იხსნება და კარგად ღებავს ნაჭრის ქსოვილს, იყენებენ კოსმეტიკაშიც, თმისა და თავის მოვლის საშუალებებშიც. ასევე, ჰისტოლოგიაში-პრეპარატის შესაღებად, მედიკამენტებისა და სამკურნალო საშუალებებისთვის ფერის მისაცემად. სხვათა შორის, ამ საღებავს ხანმოკლე ისტორია როდი აქვს. მას იყენებდნენ მე-17 საუკუნეშიც ბამბისა და შალის ქსოვილის შესაღებად.

კოშენილის ხოჭოები კაქტუსზე ცხოვრობენ და მისი წვენით იკვებებიან. მის ექსპორტიორ ქვეყნებს დიდ ტერიტორიაზე ფერმები აქვთ გაშენებული ამ ხოჭოს მოსამრავლებლად. 2006 წლის მონაცემებით, მარტო პერუმ ექსპორტზე გაიტანა 200 ტონა კოშენილის ხოჭო, კანარის კუნძულებიდან 20 ტონა გავიდა, ბოლო დროს ჩილემ და მექსიკამაც დაიწყეს კოშენილის ექსპორტი. საფრანგეთი, იაპონია, იტალია და სხვა ქვეყნები ახდენენ კოშენილის იმპორტს და დამუშავების შემდეგ საღებავად გააქვთ სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ვეგეტარიანელები და ცალკეული რელიგიური ჯგუფები, განსაკუთრებით, მარხვის დროს უარს ამბობენ იმ ნაწარმზე, რომელშიც ამ საღებავს იყენებენ.

კარმინის შემცველმა საკვებმა, მედიკამენტებმა და კოსმეტიკურმა საღებავებმა იშვიათად შეიძლება გამოიწვიოს როგორც მსუბუქი, ისე მძიმე ალერგიული რეაქციები. ითვლება, რომ ის არ არის მავნე ნივთიერება და შეიძლება მისი მოხმარება საკვებ მრეწველობაში, რაც ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში არ არის აკრძალული. თუმცა ევროპის კომისიის მოთხოვნით, E120-ის ნაცვლად პროდუქტებზე აუცილებლად უნდა ეწეროს „კარმინი“, ან „კოშენილის ექსტრაქტი“ მშობლიურ ენაზე. ასე რომ, საზღვარგარეთ ან საქართველოში ნაწარმოებ პროდუქციაში შეიძლება თავისუფლად აღმოაჩინოთ კარმინი. კარმინის მჟავა აღინიშნება ნიშნით E120.

ზოგადად, კარმინის მჟავას გამოიმუშავებენ მწერები, რათა მათზე მონადირე ცხოველები მოიგერიონ, თუმცა ეს მჟავა ადამიანს საერთოდ არ სჭირდება. იმისთვის, რომ მიიღონ 0,5 კგ საღებავი, 70 ათას მწერს კლავენ, აქცევენ სპირტად და იყენებენ პროდუქტებში. კარმინის მჟავა გავლენას ახდენს ასთმის, დიარეის და მრავალი პრობლემის განვითარებაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **როსტომ გაფრინდაშვილი For.ge-სთან** საუბარში აცხადებს, რომ ზოგიერთი საკვები დანამატი საზიანოა, ზოგი კი სულაც არ არის საზიანო. მაგალითად, არასაზიანო საკვები დანამატია ძმარი, შაქარი, მაგრამ, სამწუხაროდ, საკვები დანამატია ათასნაირი საღებავიც, თუნდაც ინდიგოკარმინი, რაც საზიანოა.

„კოშენილისგან მიღებული საღებავი, თუკი დოზები დაცულ იქნება, პირადად მე მავნებლად არ მიმაჩნია. თუმცა არ არის სასიამოვნო, რომ ხოჭოსგან მიღებული ექსტრაქტის მიღება გვიწევს. ამიტომ სასურველია მოვერიდოთ ისეთ პროდუქტს, რომელსაც აწერია კარმინის მჟავა.

მანანა ნოზაძე

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს თენგიზ ფეტელავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თენგიზ ფეტელავა (პ/ნ 29001002967), ფოთი, ალ. პუშკინის ქ. 69, ბინა №45.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ფოთი, ალ. პუშკინის ქ. 69, სართული 1 (საკადასტრო კოდი: 04.01.14.179.01.515 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18937.99 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 5 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 21 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP56976618;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 569766

6. **მოვალე:** ინგა ეჯიბია (პ/ნ 42001033084), ფოთი, პუშკინის ქ. 69, ბინა 45;
თენგიზ ფეტელავა (პ/ნ 29001002967), ფოთი, პუშკინის ქ. 69, ბინა 45.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP56976618; ლოტის ნომერი: 569766).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 21 დეკემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ევროკავშირული პრობლემები

2019 წლის 29 მარტს დიდი ბრიტანეთი დატოვებს ევროკავშირს, მაგრამ დარჩება საერთო ბაზარში და დაიცავს მის წესებს 2020 წლის დეკემბრის ბოლომდე. ამ პერიოდში მხარეები შეიმუშავებენ სავაჭრო ურთიერთობების ახალ სქემას. გარდამავალი პერიოდი შეიძლება 2 წლამდე გაიჭიმოს, ანუ 2020 წლის 1 ივლისამდე.

„ბრექსიტის“ მთავარი თემა იყო და არის ირლანდიის საზღვარი. შეთანხმება, რომელიც სულ ახლახან გაფორმდა დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის, ორივე მხარეს ავალდებულებს არ შექმნას ევროკავშირის წევრ ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთის ჩრდილოეთ ირლანდიის საზღვარზე ბარიერი, თავი აარიდოს საბაჟოსა და სხვა შეფერხებებს.

„გაყრის“ დოკუმენტის მიხედვით, დიდი ბრიტანეთი თანახმაა შეიტანოს საწევრო ევროკავშირის საპენსიო ფონდში, სხვა თანხები, რომელსაც ის იხდიდა ევროკავშირის წევრობისას, 2020 წლამდე, რაც 39 მილიარდ ფუნტ სტერლინგს, ანუ 50 მილიარდ დოლარს შეადგენს.

დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის მოქალაქეებს მხოლოდ ხანმოკლე ვადით შეეძლებათ თავისუფლად, უვიზოდ გადაადგილება. მთელი რიგი საკითხები, მათ შორის თევზჭერის, უნდა მოწესრიგდეს ხელშეკრულებებით 2020 წლის 1 ივლისამდე. ასევე უნდა მოწესრიგდეს გიბრალტართან დაკავშირებული კამათი.

ევროკავშირის სამიტამდე, რომელიც 25 ნოემბერს გაიმართა, ესპანეთმა განაცხადა, რომ ვეტოს დაადებს ხელშეკრულებას დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე, თუ არ გაირკვევა გიბრალტარის კუთვნილების საკითხი.

ცნობისთვის: დიდმა ბრიტანეთმა 1713 წელს წაგლიჯა გიბრალტარი ესპანეთს. 1830 წელს მან გიბრალტარი თავის კოლონიად გამოაცხადა. იქიდან დაწყებული, დღემდე გიბრალტარი იყო და არის ესპანეთ-დიდი ბრიტანეთის მუდმივი კინკლაობის თემა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ნატოს და ჯერჯერობით (ინგლისი) ევროკავშირის წევრები არიან..

ამას ხაზგასმით აღვნიშნავ ქართველ პოლიტიკოსთა გასაგონად, რომლებიც თვლიან, რომ ნატოს და ევროკავშირის წევრობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს. გიბრალტარის ტერიტორია მხოლოდ 6.5 კვადრატული კილომეტრია, მაგრამ ის დიდ ბრიტანეთს აძლევს შანსს გააკონტროლოს გასასვლელი ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტიკის ოკეანეში.

გიბრალტარის ოფიციალური ენა ინგლისურია. მოსახლეობის 25%-ს ინგლისური ფესვები აქვს. გიბრალტარი ცნობილია ტურიზმით. გასულ წელს იქ მარტო ინგლისიდან 18 მილიონი ტურისტი იმყოფებოდა.

საკამათო თემაა გიბრალტარის აეროპორტიც, რომელიც 106 ჰექტარია. ის ეკუთვნის დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს და ემსახურება როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო სექტორს. ოფიციალური მადრიდი კატეგორიულად აცხადებს, რომ აეროპორტის ტერიტორია მისია.

2016 წელს ჩატარებული რეფერენდუმის მიხედვით, გიბრალტარელთა 96% სურს ევროკავშირში დარჩენა ისე, როგორც ესპანეთს.

ესპანეთის მთავრობა მიიჩნევს, რომ პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იქნება, თუ გიბრალტარზე დაწესდება ერთობლივი ბრიტანულ-ესპანური მმართველობა და გიბრალტარელებს მიეცემათ ორმაგი მოქალაქეობა, გაუქმდება ე.წ. საზღვარი გიბრალტარსა და ესპანეთს შორის.

გიბრალტარის თემა, „ბრექსიტიდან“ გამომდინარე საკითხებში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რომლიც 2020 წლის ივლისამდე უნდა გადაიჭრას.

ზემომოყვანილი საკითხები არცთუ იოლი მოსაგვარებელია და ევროკავშირ-დიდი ბრიტანეთის ძალისხმევას მოითხოვს. უნებლიეთ იბადება კითხვა – რატომ აიტკივა თავი დიდმა ბრიტანეთმა, როდესაც ევროკავშირიდან გასვლის რეფერენდუმი ჩაატარა?

დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის გავლენიანი წევრი იყო და თავს ერთობ კომფორტულად გრძნობდა, არც არავის აუძულებია დაეტოვებინა ის, მაშ, რით იყო გამოწვეული ესოდენ მყისიერი გადაწყვეტილების მიღება?

„მარტივი“ რამით – მას სუვერენიტეტი ჰქვია. პირობები, რომლებიც ამ კავშირში აქვთ მის წევრებს, არცთუ უმნიშვნელოა. იქ არსებული შეღავათები არაწევრი ქვეყნებისთვის მომხიბლავია. მაგალითად, ჩვენთვის, ჯერაც რომ ვერ შეგვიფასებია სუვერენიტეტისა და ნამდვილი თავისუფლების მნიშვნელობა. იქ შესვლის შემდეგ, საკუთარ თავზე დატრიალებული ბრიუსელური ბორბალი ისეთი „ტკბილი“ აღარ არის, როგორიც შესვლამდე ჩანს.

აღნიშნულის თაობაზე არაერთხელ ითქვა ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, საბერძნეთის, ბალტიისპირა ქვეყნების, სხვა წევრების მიერ. ევროკავშირში გაწევრების შემდეგ დაინახეს მათ, თუ რამდენად თავისუფლები, სუვერენულები არიან; რომ ბრიუსელის გარეშე სიტყვის დაძვრაც კი იწვევს კრემლის, უკაცრავად ბრიუსელის კრიტიკას. თუმცა კრემლი შემთხვევით არ მომიყვანია.

ევროკავშირი სულ უფრო მეტად ემსგავსება საბჭოთა კავშირს, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან 27 (დიდი ბრიტანეთის გარეშე) ქვეყნის ერთი ცენტრიდან მართვა, ანუ ბრიუსელიდან, ისეთივე ვერტიკალური პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას მოითხოვს, როგორიც საბჭოეთს ჰქონდა.

სულ ახლახან, ბრიუსელმა დაიწუნა იტალიის მომავალი წლის ბიუჯეტი. მავანი იტყვის – რა შუაშია ბრიუსელი იტალიის ბიუჯეტთანო. არათუ შუაშია, თავშია. წევრი სახელმწიფოების მიერ შედგენილი ბიუჯეტი ბრიუსელში იხილება და მტკიცდება. ცხადია მოჭინჭყლე ქვეყანას, ამ შემთხვევაში იტალიას, შეუძლია იგნორირება გაუკეთოს ბრიუსელის მოსაზრებას, მაგრამ საბოლოო ჯამში იძულებული იქნება დაეთანხმოს ცენტრს.

მახსენდება საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურები, როდესაც შემოდგომით, საბჭოთა რესპუბლიკებიდან წარდგენილი ბიუჯეტის პროექტები მოსკოვში იხილებოდა და შესაბამისი კორექტივების შეტანის შემდეგ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიებზე მტკიცდებოდა.

ბრიუსელს საბჭოთა სისტემამდე ჯერაც ბევრი აქვს გასაკეთებელი. თუ ვერ გაკეთებს, დაკარგავს კონტროლს წევრ სახელმწიფოებზე, რაც კავშირის დაშლის საწინდარი იქნება.

ბრიუსელის როლის გამტკიცებას ემსახურებოდა გერმანიის კანცლერის მერკელის განცხადება, რომელიც მან ბერლინში გამოსვლის დროს გააკეთა – **„ეროვნული სახელმწიფოები ვალდებულები არიან გადასცენ თავიანთი სუვერენიტეტი ევროკავშირს“.**

კანცლერის განცხადება ერთობ გამაღიზიანებლად ჟღერდა ორი მომენტის გამო. პირველი, თვით კანცლერი კანცლერობის და ევროკავშირის ლიდერობის დღეებს ითვლის და მეორე – თვით ევროკავშირიც მძიმე დღეშია ევროსკეპტიკოსთა განცხადებებიდან გამომდინარე.

ასეთ ვითარებაში ევროკავშირის ლიდერები ფრთხილად უნდა მოეკიდონ ევროინტეგრაციის საკითხებს, რათა კიდევ უფრო არ დაძაბონ ვითარება. მაგრამ არა, ისინი, პირიქით იქცევიან. მიზეზი ერთია, სულ უფრო მზარდ ნაციონალიზმთან და ევროსკეპტიციზმთან „ერთიანი და მტკიცე ევროპით“ დაპირისპირება.

მერკელს მხარს უბამს საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი, რომელმაც გერმანიის ბუნდესტაგში გამოსვლის დროს მოითხოვა – **„მეტი ევროპა“, ევროპის საერთო არმია, მეტი თავისუფლება საერთაშორისო საკითხებში და სუვერენიტეტი არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად ბრიუსელის მეთაურობით – ბრიუსელში უნდა იყოს თავმოყრილი თავდაცვის საერთო სისტემა, ერთიანი ბიუჯეტი, ლტოლვილებთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.**

მერკელი უფრო შორს წავიდა, რამეთუ ნაცვლად რეკომენდაციისა, მან აუცილებლად გახადა ეროვნული სახელმწიფოების მიერ საკუთარი სუვერენიტეტის დათმობა ბრიუსელის სასარგებლოდ.

აღნიშნულ გერმანულ პროექტს სკეპტიკურად უყურებენ ევროკავშირის სხვა წევრები და მიიჩნევენ, რომ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ, გერმანიის როლი კიდევ უფრო გაიზრდება. სკეპტიკოსებს არ სურთ საკუთარი სუვერენიტეტის დათმობა ბრიუსელისთვის. უფრო მეტიც, ზოგიერთი იმასაც მოითხოვს, რომ უკან დაუბრუნდეს ის, რაც უკვე გადაცემული აქვს ბრიუსელისთვის.

როგორც ევროპელი ექსპერტები ამბობენ, მერკელს და მაკრონს სურთ „თავიანთი“ ევროპა და აქედან გამომდინარე სიჩქარეში ვერ ფიქრობენ, რომ მოწოდება – „გადაეცით სუვერენიტეტი“, აფრთხობს ევროკავშირის დანარჩენ წევრებს. და არა მარტო მათ, არამედ გერმანიისა და საფრანგეთის მოსახლეობის სოლიდურ ნაწილსაც, რომელიც წინააღმდეგია სუვერენიტეტის დათმობის, ვინაიდან ამ აქტში ისინი არა გერმანია-საფრანგეთის პროექტს ხედავენ, არამედ ზენაციონალურ, ანტინაციონალურ, პროატლანტიკურ ბრიუსელურ წარმონაქმნს – მტრულს გერმანელი და ფრანგი ხალხების ეროვნული ინტერესების და ფასეულობების მიმართ.

ექსპერტები თვლიან, რომ პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა ორივე ლიდერის მიერ პოლიტიკური კაპიტალის ქონა, რაც, მათდა სამწუხაროდ, არ აქვთ. მერკელს აღარ აქვს, ხოლო მაკრონს ჯერ არ აქვს. მაშ, რატომ ჩქარობენ?

პასუხი მარტივია – ევროკავშირში დაწყებული კრიზისი, იმედგაცრუება და არსებული პოლიტიკური მოდელისადმი უნდობლობა, რაც ევროინტეგრატორთა წინააღმდეგ მუშაობს.

აღნიშნული პროცესის შესაჩერებლად ორივე მიიჩნევს, რომ საჭიროა შეტევაზე გადასვლა და საქმის ბოლომდე მიყვანა. ევროსკეპტიკოსები აცხადებენ, რომ ევროსისტემა არ მუშაობს. ევროინტეგრატორები კი თვლიან, რომ შეფერხების მიზეზი ისაა, ბრიუსელს ნაკლები ფუნქციები რომ აქვს და საჭიროა ნაციონალური ქვეყნების მიერ მისთვის სუვერენიტეტის გადაცემა.

თუ რით დამთავრდება ევროკავშირის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ჭიდილი – მომავალი გვიჩვენებს. რაც შეეხება ჩვენს ამ ორგანიზაციაში შესვლას, რაც აბსტრაქციის ნაყოფია, ვიდრე რეალურობის, მარტივად შეიძლება ითქვას, რომ დაფიქრებაა საჭირო.

ევროინტეგრატორთა მცდელობა თუ წარმატებით დასრულდა, მივიღებთ ისეთ კავშირს, რომელსაც ბრიუსელის სახით ზენაციონალური ორგანო ეყოლება – ერთ ცენტრში მოქცეული საგარეო, თავდაცვის, საფინანსო, საბაჟო და ა.შ. ფუნქციებით. კავშირში შემავალ ქვეყნებს რა დარჩებათ?

ის, რაც საბჭოთა რესპუბლიკებს ჰქონდათ საბჭოთა კავშირის დროს.

დიდ ბრიტანეთს 45 წელი დასჭირდა გამოსაფხიზლებლად და როდესაც გამოფხიზლდა, უმალ დაიწყო შრომა საკუთარი სუვერენიტეტის დასაბრუნებლად, რაც ევროკავშირიდან გასვლის გარეშე შეუძლებელია.

არგენტინაში G20 სამიტის დროს გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე ტერეზა მეიმ განაცხადა – კარგია, როცა რაღაცას უკან მოუხედავად აკეთებ. მან ევროკავშირის წევრობა იგულისხმა.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

უცხოური ტურიზმიდან შემოსავალმა 2 მლრდ 817 მლნ დოლარი შეადგინა!

საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის წინასწარი მონაცემებით 2018 წლის იანვარი-ოქტომბრის მდგომარეობით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში 2 მლრდ 817 მილიონ დოლარს შეადგენს (ზრდა +19.9%), რაც 468 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2018 წლის I-II კვარტლის მდგომარეობით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენს 1,361 მლრდ დოლარს (ზრდა +28.9%), რაც 305 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2018 წლის I-II კვარტლის მონაცემებით შეადგენს 7.1%-ს. ზრდა წინა წელთან შედარებით +17.2%-ია. 2017 წლის ჯამური მონაცემებით წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 6.8% შეადგინა. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +11.5%.

11 თვეში 8 მლნ-ზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორი გვეწვია

საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2018 წლის იანვარ-ნოემბრის თვის მონაცემებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტმა 8 მილიონს გადააჭარბა და 8,105,829 შედგა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +10.6%-ია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 4,486,595 შეადგინა, რაც 659,454-ით მეტია 2017 წლის იანვარ-ნოემბრის მაჩვენებელზე (ზრდა +17.2%). ინფორმაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაწოდა.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐᲗ

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ გამოცემა Комсомольская правда აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის ურთიერთობებთან დაკავშირებით ვრცელ სტატიას აქვეყნებს, რომელშიც აფხაზეთსა და რუსეთს შორის ეკონომიკური პრობლემებია განხილული.

„ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ“ გთავაზობთ სტატიის თარგმანს ყოველგვარი ცვლილების გარეშე:

ᲐᲛ კვირაში შეუსრულდა 4 წელი შეთანხმებას სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე რუსეთს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის, რომელიც განსაზღვრავს ორმხრივ ურთიერთობებს მათ შორის.

რუსეთი თანამიმდევრულად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მხრივ და არის რესპუბლიკის უსაფრთხოების გარანტი.

ბოლო 5 წლის მანძილზე აფხაზეთში პენსიების ზრდის მიზნით გამოიყო 2,6 მლრდ რუბლი, 2014 წელთან შედარებით პენსია გაიზარდა 75%-ით.

12,4 მლრდ გამოიყო მიმდინარე დაფინანსებაზე, საბიუჯეტო სფეროს ხელფასების ჩათვლით, რომლებიც გაიზარდა 45%-ით 2014 წელთან შედარებით. 20 მლრდ.-ზე მეტი დაიხარჯა საინვესტიციო პროექტებზე — გზების, სკოლების, საავადმყოფოებისა და საბავშვო ბაღების აშენებაზე.

გარდა ამისა, **რუსული ფინანსური დახმარება წარმოადგენს აფხაზეთის ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს — 2017 წელს — 64%-ს.**

თანაც, ეს უზარმაზარი ფინანსური დახმარება არ მძიმდება გარკვეული მოთხოვნებით — ისე, როგორც ამას აკეთებს, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, როდესაც ეხმარება უკრაინას. მოსკოვი თვლის, რომ ასეთი კეთილმეზობლური დახმარება თავისთავად უნდა გამორიცხავდეს ყოველგვარ უთანხმოებებს ურთიერთობებში.

თუმცა, სამწუხაროდ, რეალობა საპირისპიროა — აშკარაა, რომ სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ აფხაზების რიტორიკული განცხადებების უკან იმალება ორმხრივ ურთიერთობებში დაგროვილი პრობლემები.

ზოგჯერ ეს ჩანს კიდეც ღიად და გამოიხატება ისეთ განცხადებებში, როგორიცაა **„ჩვენ არ მოვითმენთ ვინმეს ბატონპატრონობას“,** შეკვეთილ სტატიებში იმის შესახებ, რომ თურმე **„კრემლს არ ესმის რეგიონში არსებული პოლიტიკური რეალობა“** და ა.შ.

ასეთი ტიპის განცხადებებს აქვს გარკვეული პოპულისტური ეფექტი საზოგადოებაში, თუმცა, სტრატეგიულად ეს ყველფერი ქმნის არასტაბილურობას ურთიერთობებში მთავარ მოკავშირესთან და

გარანტთან — რუსეთთან.

აი, მხოლოდ რამდენიმე მაგალითი, რომელიც ადასტურებს ამ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას.

აფხაზეთში ეთნიკურ რუსებს ართმევენ ბინებს. თანაც, ამ პროცესს აქვს მასობრივი ხასიათი და ადგილობრივი ხელისუფლება არ ჩქარობს ამ პრობლემის გადაწყვეტას. ძირითადად საქმე ეხება იმ რუსების ბინებს, რომლებმაც ომის დროს დატოვეს აფხაზეთი — დაბრუნებულებს მათ დახვდათ საცხოვრებელში ახალი პატრონები, რომლებმაც უარი თქვეს ნაქურდალის დაბრუნებაზე.

საბოლოოდ, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ისევ რუსეთის მთავრობამ აიღო თავის თავზე დაზარალებულებისთვის ახალი ბინების გადაცემა.

აფხაზეთში დღესაც აკრძალულია ბინების ან მიწების ყიდვა რუსებისთვის. ეს აკრძალვა რომც არ არსებობდეს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბევრი მსურველი იყოს, **თუმცა თავად ამ შეზღუდვის არსებობა არის დიდი უსამართლობა — ეს იმ პირობებში, როდესაც აფხაზების 99% არის რუსეთის მოქალაქე და სარგებლობს რუსეთში ყველა შეღავათით.**

ასევე არის შეზღუდვები რუსული ინვესტიციებისთვის — მაგალითად, ენერგოკომპანია „როსსეტი“-ს პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი ენერგოქსელების რეაბილიტაციას, 2017 წელს შეწყდა იმის შემდეგ, რაც **პარლამენტმა აკრძალა უცხოური, ანუ, ფაქტობრივად, რუსული ინვესტიციები ენერგეტიკაში.**

ეს ხდება იმ დროს, როდესაც აფხაზეთი განიცდის სერიოზულ ენერგოდეფიციტს და დამოკიდებულია ენგურჰესზე, რომელსაც მართავს საქართველოსთან ერთად — როგორც ჩანს, აფხაზები თვლიან, რომ ენერგოდამოკიდებულება საქართველოზე ნაკლებად საშიშია, ვიდრე რუსი ინვესტორის მოსვლა.

სისტემური ხასიათი მიიღო რუსი ინვესტორების საკუთრების მიტაცებებმა, რაც უკვე გახდა აფხაზეთის საინვესტიციო კლიმატის შემადგენელი ნაწილი. აქაც, ადგილობრივი ხელისუფლება პასიურობს, რადგანაც არ სურს კონფლიქტში შესვლა კრიმინალურ კლანებთან.

ანუ, გამოდის, რომ **აფხაზებს უფრო აშინებთ შიდა კონფლიქტის საფრთხე, ვიდრე სტრატეგიული პარტნიორის შესაძლო რისხვა...**

აფხაზეთისთვის საერთოდ დამახასიათებელია გარკვეული პოლიტიკური ეგოიზმი — მაგალითად, **სოხუმმა დღემდე, გაუგებარი მიზეზების გამო, არ აღიარა დონეცკის და ლუგანსკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა მათი თხოვნის მიუხედავად.**

ეს მაშინ, როდესაც სწორედ მოსკოვის ძალისხმევით მოხდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება რამდენიმე სახელმწიფოს, მაგალითად, სირიის, მხრიდან.

რა თქმა უნდა, **ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა რუსეთის ფინანსური დახმარების საკითხი. მოსკოვის მხრიდან კონტროლის გაძლიერების შედეგად შემცირდა საინვესტიციო პროგრამების დაფინანსება.**

ალექსანდრ ანქვაბის პრეზიდენტობის პერიოდში აფხაზეთში არსებობდა შემდეგი პრაქტიკა — კონკრეტულ ღონისძიებაზე გამოყოფილი თანხები მიემართებოდა სხვა ობიექტებზე, გარკვეული დროის შემდეგ ფული თავდებოდა და სოხუმი ისეც წარუდგენდა მოსკოვს ანგარიშს პროექტის დასრულებაზე და ვალების დაფარვაზე. ცალსახაა, რომ აფხაზურ ელიტას ძალიან სურს ამის გაგრძელება, თუმცა, ამ ეტაპზე ეს უკვე შეუძლებელია.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ წლების მანძილზე აფხაზებს გამოუმუშავდათ რუსეთისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, რუსული დახმარება კი აღიქმება როგორც სავალდებულო, და რიგითი მოვლენა, რომელიც არ აკისრებს მიმღებს არავითარ ვალდებულებებს.

ამიტომაც, **ე.წ. „ანტირუსული განწყობები“ — სხვა არაფერი, თუ არა** აფხაზური ელიტის უკმაყოფილება ფინანსურ დახმარებაზე კონტროლის დამყარების გამო.

2019 წელს აფხაზეთში ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები და, სავარაუდოდ, მანამდე ყველა ამ საკითხის გადაწყვეტა გადაიდება შიდაელიტური კონფლიქტების თავიდან ასარიდებლად. რა თქმა უნდა, ეს ნეგატიურად იმოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე“, — წერია სტატიაში.

თუმცა, ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში 2019 წელს, მას მოუწევს ამ პრობლემებზე მუშაობა.

◎ ᲑᲝᲚᲝᲗᲥᲛᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲓᲔ ᲟᲐᲕᲘᲣ!

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲯᲝᲑᲘᲜᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 28 ნოემბერს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების ინტრიგა იმაში კი არ მდგომარეობდა, თუ ვინ გაიმარჯვებდა, არამედ იმაში, თუ რას მოიმოქმედებდა დამარცხების შემთხვევაში სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ხალხს წამლავდა — გინდა თუ არა, არჩევნები ტოტალურად გაყალბდებაო.

თავიდანვე დღესავით ნათელი იყო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს გამარჯვების გარდა კენჭისყრის არც ერთი სხვა შედეგი არ აწყობდათ, მაგრამ ეს გამარჯვებაც სამოქალაქო დაპირისპირებისა და შემდგომ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მხოლოდ იმპულსი უნდა გამხდარიყო. ეს სამწუხარო პროგნოზები გამართლდა: იმის მიუხედავად, რომ ნაციონალმა გრიგოლ ვაშაძემ დამოუკიდებელ კანდიდატად სალომე ზურაბიშვილთან თითქმის 20-პროცენტიანი განსხვავებით წააგო, რაც ცალსახად მოწმობს ერთი კანდიდატის მეორეზე აშკარა უპირატესობაზე, მისმა მომხრეებმა განაცხადეს, რომ არ ცნობენ არჩევნების შედეგებს, არ მიიჩნევენ სალომე ზურაბიშვილს ახლადარჩეულ პრეზიდენტად და პერმანენტულ საპროტესტო აქციებს მიმართავენ ხალხის ნების გამოხატვის თითქოსდა ფალსიფიცირების წინააღმდეგ, ასევე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვენ. ეს ამბავი ტელეარხ „რუსთავი2“-ით ჰოლანდიიდან მიხეილ სააკაშვილის ისტერიული გამოსვლისთანავე გადაიცა, რომელშიც მან „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილს „ბინძური ოლიგარქი“, „გაუნათლებელი და ავადმყოფი კრიმინალი“, პარტია „ქართულ ოცნებას“ კი საქართველოში „მოთარეშე მაფიოზური ბანდა“ უწოდა. ექსპრეზიდენტმა მოქმედი ხელისუფლება მასობრივ ფალსიფიცირებებში, ამომრჩეველთა მოსყიდვასა და მათზე ზეწოლაში დაადანაშაულა და მოსახლეობას სამოქალაქო დაუმორჩილებლობის, მასობრივ აქციებში მონაწილეობის მიღებისკენ უხმო: „მე მოვუწოდებ საქართველოს პოლიციას დადგეს ხალხის გვერდში, მოვუწოდებ შეიარაღებულ ძალებს არ შეასრულონ უკანონო ბრძანებები, მოვუწოდებ სახელმწიფო აპარატის ჯანსაღ ნაწილს დისტანცირება მოახდინოს ხელისუფალთა თვითნებობისგან“, — გაიძახდა სააკაშვილი. მისი ეს ნაბოდვარი ადამიანებისთვის გასაგებ ენაზე რომ გადავიყვანოთ, გამოვა, რომ იგი პირდაპირ მოუწოდებდა ქვეყნის მოსახლეობას მორიგი რევოლუციისკენ, დესტაბილიზაციისკენ და სისხლისღვრისკენ.

ცოტა ხნის წინათ ამ სტრიქონების ავტორი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პუბლიკაციაში „სახელმწიფო გადატრიალება: ბრალდების მოწმე“ ვწერდი: „ფერადი“ რევოლუციების სცენარების მთავარი მდგენელი ხალხის გამოყეყეჩებაა. ტყუილ-მართლის მოხმობით საჭიროა ადამიანების დარწმუნება იმაში, რომ ხელისუფლება, რომლის განადგურებას რევოლუციონერები ლამობენ, მახინჯია, კომიკურია, ერთიანად გამყიდველია, მისი ერთადერთი საქმიანობა ხალხის ჭირ-ვარამზე მომხვეჭელობაა, ნებისმიერი ნაბიჯი კი — ქვეყნისთვის კატასტროფაა.

თავის პიკს ეს შემზარავი კამპანია არჩევნების წინა პერიოდში აღწევს ხოლმე, მისი ორგანიზატორები კვლავ და კვლავ ათასნაირი სიცრუის მოშველიებით ცდილობენ, მოსახლეობას დაანახონ ხელისუფლების არა უბრალო, არამედ შემზარავი დანაშაულებრიობა — თითქოსდა ის არჩევნების არნახული მასშტაბით გაყალბებას აპირებს. ამის დასტურად ათასნაირი მეტ-ნაკლებად „სარწმუნო“ და „გადამოწმებული“ ფაქტი მოჰყავს, რომელსაც დაუფარავი ტყუილის უშველებელ წუმპეში ურევენ და ამით საზოგადოებრივ აზრს ძაბავენ, ხალხს კი პროტესტის მასობრივი აქციებისთვის ამზადებენ.

ეს „საპროტესტო აქციები“, მათი ორგანიზატორების აზრით, არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე უნდა დაიწყოს, თუკი ისინი, რაღა თქმა უნდა, ისეთი არ იქნება, როგორიც „ფერადი“ რევოლუციების ავტორებს აწყობთ.

როგორც ვხედავთ, ახლანდელი „რევოლუციონერების“ მოქმედებათა სცენარი, ორი წვეთი წყალივით ჰგავს ზემოაღწერილს.

დე ჟავიუ!

შორეთიდან სააკაშვილი საქართველოში დარჩენილ თანამოაზრეებს საქმეში ნაცადი ხერხებით მოქმედებას სთავაზობს, რომლებიც 2003 წელს მათ ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დროს გამოიყენეს, როცა მოტყუებით, მაშინდელი საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბების გამოცხადების გზით, ხელისუფლების სათავეში მოქცევა და ქვეყანაში სისხლიანი რეჟიმის დამყარება შეძლეს.

როგორც ჩანს, სააკაშვილის ადგილობრივმა დამქაშებმა შეისმინეს მისი რჩევები და ახლა ქუჩაში გამოსვლებით და „მშვიდობიანი საპროტესტო აქციებით“ ხელისუფლებაზე ზეწოლის განხორციელებას აპირებენ. რას ვიზამთ, ძალიან სამწუხაროა!

მაგრამ, მთავარი მაინც ისაა, რომ ექსპრეზიდენტსა და კომპანიას ავიწყდებათ, რომ 2018 წლის ვითარება საქართველოში განსხვავდება 2003 წელს არსებულისგან. რევოლუციური ვითარების, რომლის შესახებ ასე გიჟური ვნებით აღტყინებულივით სააკაშვილი ბოდავს ჰოლანდიიდან, დღესდღეობით ქვეყანაში აჩრდილიც არ არის! ის მილიონ 145 ათასი ქართველი ამომრჩეველი კი, რომელმაც 28 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ყოფილ პრეზიდენტს მტკიცე უარი უთხრა ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებაზე, რომლისკენაც ის მოსახლეობას თავიდანვე ხმის ჩახლეჩამდე მოუწოდებდა, მზადაა, ბოლომდე დაიცვას თავისი ხმები და მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრების უფლება.

ᲕᲐᲓᲘᲛ ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐᲓᲘ,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

ათი ქვეყანა, რომელიც ტურისტებისგან დაიღალა

ტურისტული ინდუსტრია სწრაფად იზრდება მთელს მსოფლიოში და ეს ძალიან მომგებიანია მიმღები ქვეყნებისთვის, რომლებიც ცდილობენ ამ დარგის მაქსიმალურ განვითარებას. თუმცა, ზოგიერთი, ყველაზე პოპულარული ქვეყნების მოსახლეობა არც თუ ისე მეგობრულადაა განწყობილი ტურისტებისადმი. სულ უფრო ხშირად ისმის ტერმინი „ტურისტოფობია“, ხოლო სტუმრების მიმართ მასპინძლები არ იჩენენ ტრადიცულ სტუმართმოყვარეობას.

გთავაზობთ იმ ათი ქვეყნის ჩამონათვალს, რომელიც ყველაზე მეტად დაიღალა ტურისტების მოზღვავებისგან

1. საფრანგეთი

86,9 მლნ. ტურისტი წელიწადში

საფრანგეთი არის ყველაზე პოპულარული ტურისტული სახელმწიფო მსოფლიოში. პარიზი ყველაზე ტურისტული ქალაქია, ეიფელის კოშკი — ყველაზე პოპულარული ღირსშესანიშნაობა მსოფლიოში. ეს კი ნიშნავს, რომ საფრანგეთი არის „მსოფლიო ჩემპიონი“ ტურიზმში. თუმცა კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურის მიუხედავად, ქვეყანაში უკვე ჩნდება ეჭვები იმასთან დაკავშირებით, საჭიროა თუ არა ამდენი უცხოელი ტურისტის ჩამოსვლა. სადღეისოდ ტურიზმის შეკავების ერთადერთი მექანიზმია კერძო ბინების ტურისტებზე გაქირავებაზე მკაცრი რეგულაციების შემოღება. სამხრეთ საფრანგეთში უცხოელი ტურისტები არ უყვართ, იმიტომ რომ ისინი ბევრს სვამენ შვებულებების დროს, ამიტომაც, ნიცაში აკრძალულია ალკოჰოლის გაყიდვა საღამოს 8 საათიდან დილის 5 საათამდე.

2. ესპანეთი

81,8 მლნ. ტურისტი წელიწადში

მსოფლიო ტურიზმის ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი. ძირითად ტურისტული ადგილებია მადრიდი, ბარსელონა, ასევე ხმელთაშუა ზღვის კურორტები — კოსტა-ბრავა, კოსტა-ბლანკა, კოსტა-დელ-სოლი, კანარის კუნძულები. ამა წლის ივლისში ვალენსიაში, პალმა-დე-მალიორკაში და ბარსელონაში ტურისტულ ავტობუსებს ხვდებოდნენ განრისხებული ადგილობრივები ლოზუნგებით „ტურისტებო, წაეთრიეთ სახლში!!“. ამავე დროს მთავრობამ შეზღუდა საცხოვრებელი ფართის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაქირავდეს — ამისთვის საჭიროა ლიცენზია, წინაამღდეგ შემთხვევაში ასეთი ბინების პატრონებს ემუქრებათ ჯარიმა —20-დან 40 ათას ევრომდე. ბალეარის კუნძულების ადგილობრივმა ხელისუფლებამ უკვე შეწყვიტა ასეთი ლიცენზიების გაცემა და აკრძალა დღიურად გასაქირავებელი საცხოვრებელი ფართის რეკლამა ონლაინ-პლატფორმებზე — ამ აკრძალვის დარღვევა ისჯება ჯარიმით 400 000 ევროს ოდენობით.

ბარსელონაში უცხოელი ტურისტი შეიძლება გახდეს ადგილობრივი რადიკალური ახალგაზრდული ორგანიზაციების მსხვერპლი — ისინი აზიანებენ ველოსიპედებს, ესვრიან საღებავს სასტუმროებს, წებოთი აფუჭებენ ჩემოდნების და შემნახველი საკნების საკეტებს. იქვე, ბარსელონაში, შენობების კედლებზე ხშირად შეხვდებით წარწერებს „ტურისტებო, წადით სახლში!“, „ტურისტებო, თქვენ ხართ ტერორისტები“, და ა.შ. თუმცა, ყველაზე რეზონანსული იყო ივლისში ბარსელონაში 4 კაცის მიერ ორგანიზებული თავდასხმა ტურისტულ ავტობუსზე.

3. იტალია

58,3 მლნ. ტურისტი წელიწადში

ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ტურისტული ქვეყანა, მსოფლიო რეკორდსმენი ღირსშესანიშნაობათა რაოდენობით — იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის 155 აქაური ძეგლი — ეს მეტია ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. ტურიზმი არის იტალიის ეკონომიკის ერთ-ერთი მოწინავე სექტორი, ყველაზე მეტი ტურისტი ჩამოდის ჩინეთიდან — 3 მლნ. ადამიანი. რომში ადგილობრივი ხელისუფლება გეგმავს რამდენიმე ადგილას ფოტო-და ვიდეოგადაღების აკრძალვას, ასევე უკვე დაწესებულია ჯარიმები შადრევნებში ბანაობისთვის და ისტორიული ძეგლებზე ჯდომისთვის. ფლორენციაში ადგილობრივი ხელისუფლება სახანძრო მანქანების გამოყენებით აგდებს ტურისტებს, რომლებიც სადილობენ ტაძრების კიბეებზე.

ვენეციის მოსახლეობა ითხოვს ქალაქის ნავსადგურის დახურვას საკრუიზო ლაინერებისთვის. უკვე დღეს ტურისტებისთვის აკრძალულია ვენეციაში ველოსიპედით გადაადგილება და ქალაქში სიარული საცურაო ტანსაცმელში.

4. ტაილანდი

35,4 მლნ. ტურისტი წელიწადში

ძირითადი ტურისტული მიმართულებებია საზღვაო კურორტები ფხუკეტი და სამუი, ასევე ქვეყნის დედაქალაქი ბანგკოკი. თუმცა, ხელისუფლება უკვე შეწუხდა ტურისტების ჭარბი რაოდენობით. ამ ეტაპზე სერიოზული შეზღუდვები არ იგეგმება, თუმცა, უკვე აიკრძალა ღამის გათევა რამდენიმე კუნძულზე.

5. საბერძნეთი

ქვეყანა განთქმულია ანთიკური და ბიზანტიური ეპოქების ძეგლებით და საზღვაო კურორტებით. ტურისტების ნაკადის ზრდა იწვევს უკმაყოფილებას თუმცა, ამ ეტაპზე ეს გამოიხატება მხოლოდ კერძო საუბრების დონეზე — მწვავე ეკონომიკურ კრიზისში მყოფ ქვეყანას არა აქვს უცხოელი ტურისტების შეზღუდვის ფუფუნება.

6. ფილიპინები

ქვეყანა განთქმულია საზღვაო კურორტებით. ხელისუფლების აზრით, ფილიპინებში ჩამოდის ტურისტების ჭარბი რაოდენობა, რომელსაც მოძველებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურა ვერ უმკლავდება — კერძოდ, 6 თვით აიკრძალა ტურისტების ჩასვლა რამდენიმე პოპულარულ კუნძულზე.

7. ხორვატია

ქვეყნის მთავარი ტურისტული ზონაა ადრიატიკის სანაპირო, რომელიც იზიდავს ტურისტებს რბილი კლიმატით, ქვიშის პლიაჟებით და კარგად შენარჩუნებული ძველი ქალაქებით. ხორვატიის 7 ღირსშესანიშნაობა შეტანილია იუნესკოს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში, ქვეყანაში მოწყობილია 8 ეროვნული და 11 ბუნებრივი პარკი. თუმცა მოსახლეობა უკმაყოფილოა ტურისტების ნაკადის მუდმივი ზრდით — პირველ რიგში ეს ეხება პატარა ქალაქ დუბროვნიკს. ადგილობრივმა ხელისუფლება, შეამცირა ნავსადგურში შემომსვლელი საკრუიზო ლაინერების რაოდენობა 5-დან 3-მდე. უახლოეს პერიოდში დუბროვნიკის მერია შეზღუდავს ქალაქში ჩამომსვლელ ტურისტთა რაოდენობას 8 მლნ.-მდე. ქალაქის ისტორიულ ნაწილში დამონტაჟდება სათვალთვალო კამერები, რომლებიც დაითვლიან ტურისტების რაოდენობას — როგორც კი დღის მანძილზე ის გადააჭარბებს გარკვეულ დონეს, ქალაქში შესვლა ავტომატურად შეწყდება.

ასევე კუნძულ ხვარზე შემოღებულ იქნა ჯარიმები საზოგადოებრივ ადგილ;ებში არაფხიზელ მდგომარეობაში გამოჩენისთვის — ამით ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს რამენაირად დააშოშმინოს მუდმივად მთვრალი უცხოელები.

8. ისრაელი

ტურიზმი, განსაკუთრებით კი რელიგიური, არის ისრაელის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო. ცხელი კლიმატის, უნიკალური გეოგრაფიის წყალობით — უდაბნოდან თოვლიან მთებამდე — ქვეყანა იზიდავს მილიონობით ტურისტს წელიწადში. თუმცა, ისრაელი გეგმავს თურქი ტურისტების რაოდენობის შეზღუდვას. ამ დროისთვის უკვე მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები თურქებისთვის — ისეთები, როგორც ფოტო-და ვიდეოგადაღების, ალ-აქსას მეჩეთში თურქული დროშის აფრიალება და პოლიციასთან კამატის.

9. პოლანდია

ტურისტებს ძირითადად იზიდავს ქვეყნის დედაქალაქი — ამსტერდამი, რომელიც მდიდარია როგორც კლასიკური კულტურის, მხატვრობის და ისტორიის თვალსაზრისით, ასევე მიმზიდველია ისეთი ადგილებით, სადაც ღიად იყიდება მარიხუანა. ქალაქის ხელისუფლებას სურს ტურისტების ნაკადის შემცირება, რისთვისაც გეგმას ბინის ქირაზე გადასახადის შემოღებას — ცენტრში 7%, გარეუბნებში — 4%. ასეთი ზომები გამოწვეულია იმით, რომ ტურისტები ჭარბი რაოდენობის გამო, ქალაქის ცენტრი არამიმზიდველია ადგილობრივებისთვის.

„ტურისტების გამო ამსტერდამის ცენტრში ბინები გაძვირდა წინა წელთან შედარებით 12%-ით“ — აღნიშნავს ინტერნეტ-გამოცემა NL Times.

10. ჩილე, აღდგომის კუნძული

ეს კუნძული, რომელიც შედის ჩილეს ეკუთვნის, განთქმულია გიგანტური ქვის ქანდაკებებით. ტურიზმი აქაური მოსახლეობის შემოსავლის მთავარი წყაროა, თუმცა იქ ჩასვლა არაა ადვილი — ერთად-ერთი კავშირი გარე სამყაროსთან არის რეგულარული ავიარეისი ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოდან.

თუმცა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი — ადგილობრივმა ხელისუფლებაი გადაწყვიტა უცხოელების წინაამღდეგ დამატებითი შეზღუდვების დაწესება — 2018 წლის 1 აგვისტოდან იქ ყოფნის ნებადართული ვადა შემცირდა 90-დან 30 დღემდე, ხოლო ტურისტები ვალდებულები არიან წარადგინონ სასტუმროს ჯავშანი ან მოწვევა ადგილობრივი მაცხოვრებლისგან.

ბოლო 20 წლის მანძილზე კუნძულის მოსახლეობამ მიაღწია 7750 ადამიანს, რაც ადგილობრივი მერის პეტრო ედმუნდსის თქმით, 3 000 მეტია, ვიდრე საჭიროა. „უცხოელებმა დაიპყრეს კუნძული, და მათი გავლენით ათასწლოვანი კულტურა იცვლება უარესობისკენ. თანაც მასობრივი ტურიზმი მავნეა ეკოლოგიისთვის“ — განაცხადა მან.

საქართველოს მოქალაქის პასპორტი საერთაშორისო რეიტინგში ხუთი პოზიციით დაწინაურდა

Global Passport Power Rank-ის ინდექსის ინფორმაციით, საქართველოს პასპორტი გლობალურ რეიტინგში კიდევ ხუთი პოზიციით დაწინაურდა და 115 ქულით 39-ე პოზიცია გადავიდა.

გასული წლის მონაცემებით, საქართველოს პასპორტი 103 ქულით 44-ე ადგილზე იყო. Global Passport Power Rank-ის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ ან გამარტივებული პროცედურებით მოგზაურობა მსოფლიოს 115 ქვეყანაში შეუძლიათ. გლობალურ რეიტინგში პირველობას არაბეთის გაერთიანებული საემიროები იკავებს, რომელთა მოქალაქეებსაც გამარტივებული პროცედურებით მოგზაურობა 167 ქვეყანაში შეუძლიათ.

◎ კალათბურთი

ასე იწრთობა ნაკრები

თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესს ჯერჯერობით უპრობლემოდ ვუმკლავდებით – განაცხადა გუშინ საზოგადოებრივი მაუწყებლის დილის საინფორმაციო პროგრამაში სტუმრობისას საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვლადიმერ ბოისამ.

ძნელია, არ დაეთანხმო ვეტერან „ჯვაროსანს“, რომელიც ზაზა ფაჩულიასა და ვიქტორ სანიკიძის მსგავსად პირნათელი გამოეთხოვა ეროვნულ ნაკრებს.

თუ გავითვალისწინებთ ჯერაც შეუცვლელი ასაკოვანი გამთამაშებლის გიორგი ცინცაძის უკვე შეზღუდულ ფიზიკურ კონდიციებსა და მისი კბილა დაცვის ბურჯის მანუჩარ მარკოიშვილის ქრონიკულ ტრავმიანობას, ბიჭების მიერ ჩინეთში გაისად გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდში მოპოვებული 5 გამარჯვება და ფინალურ ტურნირში გასასვლელად შენარჩუნებული თუნდაც მიზერული შანსი ილიას ზუროსის შეგირდთა მორიგ წარმატებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მით უმეტეს მაშინ, როცა ფიბასა და ევროლიგის მესვეურთა „პოხონდრიების“ გამო გუნდს ბოლო ორ შეხვედრაში მისი ლიდერი და ესპანური „ბასკონიას“ კაპიტანი თორნიკე შენგელიაც ვერ ეხმარებოდა.

საქართველო-ისრაელი 71:69
(დამატებით დროში)
ძირითადი დრო 64:64
(9:11, 25:19, 16:19, 14:15, 7:5)

საქართველო: ბითაძე (18 ქულა, 7 მოხსნა), ცინცაძე (14 ქულა), შერმადინი (10 ქულა, 11 მოხსნა), მაკფადენი (9 ქულა), სანაძე (8 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი), ბურჯანაძე (6 ქულა, 5 მოხსნა), ფაცაცია (3 ქულა), ბერიშვილი (3 ქულა), ბოქოლიშვილი, ანდრონიკაშვილი.

აღსანიშნავია, რომ პირველ წრეში საკუთარ დარბაზში განცდილი მარცხის შემდეგ სტუმართა თავკაცმა ოდედ კატაშიმ ძველ გვარდიას უხმო და თბილისში გაძლიერებული შემადგენლობით გვეწვია. მეტოქე ამჯერად მართლაც გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახლდათ ქართველთა კოზირები. კერძოდ, პირველ ტაიმში ბითაძემ გაიბრწყინა, შესვენების შემდეგ – ბურჯანაძემ, დასკვნით პერიოდში – მაკფადენმა, ხოლო დამატებით დროში შერმადინმა „დახატა“.

სხვათა შორის, უბერებელი ცინცაძე, მართალია, რამდენჯერმე შეცდა, მაგრამ მთლიანობაში პარტნიორთაგან ერთ-ერთი სტაბილური იყო.

მოკლედ, მოვუფრთხილდეთ ჩვენს გუნდს და გვწამდეს მისი!

სერბეთი – საბერძნეთი 84:61, გერმანია – ესტონეთი 87:70.

სატურნირო მდგომარეობა: საბერძნეთი, გერმანია – 9-9, სერბეთი – 6, საქართველო – 5, ისრაელი – 4, ესტონეთი – 2 მოგება.

დარჩენილ შეხვედრათა კალენდარი:

21 თებერვალი. საბერძნეთი – საქართველო, ისრაელი – გერმანია, ესტონეთი – სერბეთი.

24 თებერვალი. საქართველო – ესტონეთი, სერბეთი – ისრაელი, გერმანია – საბერძნეთი.

შეგახსენებთ, რომ მომავალი ფორუმის საგზურს უძლიერესთა ტრიო დაეუფლება, სერბებმა კი ორივე მატჩი მოგვიგეს. ასე რომ, მათ ორივე ბრძოლა უნდა წააგონ, ხოლო ჩვენ – პირიქით, ორივე ჩვენს სასარგებლოდ უნდა დავასრულოთ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფრენბურთი

ამჯერადაც – ცაგერი!

ჩვენი ქვეყნის 6 გუნდი ჩაება ფრენბურთელ ვაჟთა 28-ე ეროვნულ ჩემპიონატში, რომლის პირველ ტურსაც ამ დღეებში დედაქალაქის ვაჟა კაჭარავას სახელობის სპორტულმა კომპლექსმა უმასპინძლა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფავორიტის სტატუსი ამჯერადაც გაამართლა საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა ცაგერმა (მწვრთნელი თემურ ჭაბუკიანი, კლუბის დირექტორი გია სილაგაძე), რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო და ერთპიროვნულად დაწინაურდა გათამაშების ცხრილში.

ლეჩხუმელებს ღირსეული წინააღმდეგობა მხოლოდ ქუთაისელებმა გაუწიეს – 3:2, ხოლო დანარჩენებს ერთი პარტიაც კი არ დაუთმეს.

აღსანიშნავია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელობის მიერ მშობლიური რაიონის გუნდისათვის გაწეული ფინანსური დახმარება, რამაც შესაძლებელი გახადა თბილისში ჩამოსვლა და წარმატებით თამაში.

სატურნირო მდგომარეობა: ცაგერი – 14, ქუთაისი – 11, კავკასიის უნივერსიტეტი – 9, თბილისი – 8, ყვარელი – 3, ბათუმი – 0 ქულა.

მეორე ტური გაისად მარტში გაიმართება.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

მოდრიჩის „მუდრიჩობა“



უკვე შორეულ 2007 წელს ოქროს ბურთს კაკა დაეუფლა. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ საფეხბურთო ოლიმპზე მხოლოდ მესი და რონალდუ ადიოდნენ, რომლებიც 5-5-ჯერ გახდნენ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები.

და აი, წლევანდელი სეზონის აპოთეოზი – თანამედროვეობის უგვირგვინო მეფეთა ჰეგემონია 31 წლის ხორვატმა ლუკა მოდრიჩმა დაამხო. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტობა და ჩემპიონთა ლიგაში მოპოვებული გამარჯვება – ასეთია ბალკანელის შთამბეჭდავი მონაგარი. მეორე ადგილი კრიშტიანუს ხვდა, მესამე – გრიზმანს, მეოთხე – საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დასახელებულ მბაპეს, ხოლო მეხუთე – მესის.

ქალთა შორის უპირატესობა ფრანგული „ლიონის“ ნორვეგიელ ვარსკვლავ ადა ჰეგერბერგს მიენიჭა. დავძენთ, რომ იმავე დღეს გამართული კენჭისყრის შემდეგ ერთა ლიგის ნახევარფინალისტები ასე დაწყვილდნენ: პორტუგალია – შვეიცარია, ინგლისი – ჰოლანდია („ა“ დივიზიონი).

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

თავს იფასებს

ცნობილი მოდელებიდან ერთ-ერთი უპოპულარულესი ლამაზმანი ადრიანა ლიმა დიდი ხანია, რაც ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების თილისმის წოდებისათვის ბრძოლას ჩამოშორდა და ამის მიზეზი ის ნამდვილად არ გახლავთ, რომ სენიორიტა ადრიანა გარეგნულად ვინმეზე ნაკლებია ან სამოსის სწრაფად შემოძარცვა ეზარება.

ადრიანას ნათქვამი აქვს, რომ მას უბრალოდ აღარ სჭირდება ეპატაჟურობა იმისათვის, რომ სახელი დაიგდოს, რადგან მისი სახელი დუნიაზე კიდით-კიდემდე ყველამ იცის და როდესაც ასეთი სახელგავარდნილი ვინმე ხარ, რატომ უნდა გინდოდეს ტრიბუნაზე ჯდომა და ლამაზი მკერდის ხვანცალით ქომაგთა გულების მონადირება?!....

სამოდელო ბიზნესში კოხტად ცხვირჩაყოფილმა ხალხმა შესანიშნავად უწყის, რომ ადრიანა ლიმას დღეს ყველაზე მაღალი დონისა და საუკეთესო ჩვენებებზე იწვევენ, სადაც ბრაზილიელი მოდელის მიერ წარმოდგენილი სამოსის ღირებულება ხშირად რამდენიმე ათასი დოლარია, ასეთი ქალი კი, ცხადია, სხვა ამბებით თავს ნაკლებად აიტკივებს...

◎ ჩოგბურთი

ვინ რამდენი გამოიმუშავა?

გაგაცნობთ 2018 წელს კაცთა ჩოგბურთში თუ ვინ რამდენი მილიონი დოლარი გამოიმუშავა. ყველაზე მეტი – 15.8 მილიონი დოლარი ნოვაკ ჯოკოვიჩის ანგარიშზეა.

ქართველი ნიკოლოზ ბასილაშვილი 2.02 მილიონით მე-15 ადგილზეა. ამ მაჩვენებლით ნიკამ ისეთ ჩოგბურთელებს აჯობა, როგორებიც არიან გრიგორ დიმიტროვი, მილოშ რაონიჩი, ენდი მარეი, ტომაშ ბერდიხი და ფელისიანო ლოპესი.



ნოვაკ ჯოკოვიჩი – 15.8 მილიონი დოლარი, რაფაელ ნადალი – 8.66, როჯერ ფედერერი – 8.62, ალექსანდრ ზვერევი – 8.56, ხუან მარტინ დელ პოტრო – 6.44, კევინ ანდერსონი – 5.45, მარინ ჩილიჩი – 5.18, დომინიკ ტიმი – 4.55, ჯონ იზნერი – 4.04, კეი ნიშიკორი – 4.04, კარენ ხაჩანოვი – 3.33, ბორნა ჩორიჩი – 3.01, სტეფანოს ციციპასი – 2.51, კაილ ედმუნდი – 2.14, ნიკოლოზ ბასილაშვილი 2.02.

◎ სეზონური პრობლემა

თუ გაცივდით, ლიმონს მოერიდეთ!

გვიანი შემოდგომა, ზამთარი და ადრეული გაზაფხული გახშირებულ მწვავე რესპირატორულ დაავადებათა დროა, როცა ზემო სასუნთქი გზების ინფექციური სნეულება ლორწოვანი გარსების ანთებასა და რღვევას იწვევს, რის მიზეზი ბაქტერიები ან ვირუსებია.

ამ დროს ავადმყოფს ხშირად ეგრეთ წოდებული „შინაური საშუალებებით“ ვმკურნალობთ ხოლმე, არადა ბევრისთვის სავსებით უცნობია, რომ ბევრი მათგანი არა თუ სარგებლიანია, არამედ საზიანოც კია დაავადებული ორგანიზმისთვის.

კერძოდ, გაციების დროს ავადმყოფს ხშირად ასმევენ **ჟოლოიან ჩაის**, მაგრამ **ამ დროს, თურმე არანაირი ტკბილეულის მიცემა არ შეიძლება, თუნდაც ოფლის მოსადენად!** საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ბაქტერიულ გართულებათა ალბათობა მატულობს, შაქარი კი საუკეთესო გარემოა ბაქტერიების გასამრავლებლად, რომლებიც გამუდმებით ბუდობენ ლორწოვან გარსში. მოხმარებული შაქრის დოზის მომატებით კი ჩვენ გართულებათა ალბათობას ვზრდით.

მეორე გარემოება კი ისაა, რომ იმუნურ დონეზე ჩვენს ორგანიზმს უჯრედი- მიკროფაგები იცავენ, რომლებმაც უნდა „შთანთქან“ მავნე ბაქტერიები. შაქრის დონის გაზრდის შემთხვევაში კი მიკროფაგები ჯერ „ზარმაცობას“ იწყებენ, მერე კი სულაც იღუპებიან.

გაციებულისთვის ასევე არასარგებლიანია **ლიმონიანი ჩაი** და **ფორთოხლის წვენი**. ამის მიზეზი ისაა, რომ ისედაც **ანთების პროცესით დაავადებულ ლორწოვან გარსზე მოხვედრისას მჟავე წვენი მას კიდევ უფრო მეტად აღიზიანებენ.**

ჩაის მსგავსად, ყავა შეიცავს დიდი ოდენობით კოფეინს, რომელიც ძლიერი შარდმდენივით მოქმედებს. ამის შედეგად ხდება ორგანიზმის გაუწყლოება, რითაც ტოქსინებს გამოყვანის შესაძლებლობა ეზღუდება, რომლებიც ავადმყოფობის დროს წარმოიშობა. თანაც, **გაუწყლოება ორგანიზმში სისხლის ოდენობას და მისი მიმოქცევის სიჩქარეს ამცირებს. ამის შედეგად კი იმუნური სისტემის უჯრედებს უჭირთ ანთების კერებამდე მიღწევა.**

ამის მიუხედავად, გაციების დროს ყავისა და ჩაის სმაზე უარის თქმა სულაც არ არის საჭირო, ოღონდ, ამასთანავე, ორგანიზმის გაუწყლოების თავიდან ასაცილებლად ეცადეთ რაც შეიძლება მეტი ჩვეულებრივი წყალი სვათ. **დოზირება კი ასეთია — ერთ ჭიქა ყავას ან ჩაის მიაყოლეთ ორი ჭიქა წყალი.**

დალი ხუნდაძე

მკვლელობა ფოკაში - ადგილობრივებმა ბრალდებულს სახლი გადაუწვეს

ფოკაში ახალგაზრდა კაცის მკვლელობაში ბრალდებულს სახლი და ოთხი მანქანა დაუწვეს. **შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. პოლიციამ ბრალდებულის ოჯახი უსაფრთხო ადგილზე გაიყვანა.**

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკაში, მას შემდეგ რაც გარდაცვლილი პროზექტურიდან სახლში გადაასვენეს, დაახლოებით, 300–მდე ადამიანმა, მკვლელობაში ბრალდებულის სახლს და ავტომანქანებს ცეცხლი წაუკიდა, მათ ბრალდებულის ძმის სახლის დაწვაც სცადეს, თუმცა ისინი სამართალდამცველებმა შეაჩერეს.

„ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს. დანაშაული სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. პოლიციამ გუშინვე უზრუნველყო დაკავებულის ოჯახის წევრების უსაფრთხოება. მისი ოჯახის წევრებიდან დაშავებული არავინ არ არის“, — აცხადებენ შსს-ში. მკვლელობა სოფლის ცენტრში 3 დეკემბერს მოხდა.

„სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ 1986 წელს დაბადებულმა გ.მ., წარსულში არსებული პირადი კონფლიქტის გამო, შურისძიების მოტივით, თანასოფლელი — ხ.ტ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა. პოლიციამ გ.მ. მომხდარიდან რამდენიმე საათში ნინოწმინდის რაიონში დააკავა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

„საფთიაქო ნარკომანია“ — ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ე.წ. „საფთიაქო ნარკომანიის“ სფეროში ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო ბრუნვის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე ნუგზარ ჯ. დაკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თბილისსა და გორში მდებარე აფთიაქებში უკონტროლოდ ხორციელდებოდა ფსიქოტროპული საშუალებების რეალიზაცია. აღნიშნული აფთიაქების დირექტორები და ფაქტობრივი მფლობელები მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, უნებართვოდ და სანებართვო პირობების უხეში დარღვევით, შესაბამისი რეცეპტის გარეშე ახდენდნენ ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეალიზაციას, რითიც დიდი ოდენობით შემოსავალს იღებდნენ. აღნიშნული აფთიაქების მფლობელები, 2017 წლის სექტემბრიდან 2018 წლის ივლისის ჩათვლით, ყოველთვიურად ფსიქოტროპული მედიკამენტების უნებართვოდ რეალიზაციის მფარველობისთვის, სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ უფროსისთვის — გია თვალავაძისთვის გადასაცემად ნუგზარ ჯ-ს დიდი ოდენობით თანხებს უხდიდნენ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ჯამში პასუხისგებაში მისცეს 21 პირი, რომელთა მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და ფსიქოტროპული საშუალებების ურეცეპტოდ რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა საერთო ჯამში შეადგინა 4 094 709 ლარი. გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21.
599 79-76-79;
568 82-09-84

აქტიური პროცესები დეკემბერში

გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია — 4-10, 14, 15, 18, 22-24, 28 და 29 დეკემბერს. ამ დროს სავარაუდოა ციკლონებისა და ქარიშხლების წარმოშობა, ყველა სახეობის ავარიულობის მატება, სეისმოაქტივობის გაძლიერება და სოციუმში დაძაბულობის ზრდა.

6 — მთვარის მერკურთან მორიელის, ხოლო იუპიტერთან — მშვილდოსნის თანავარსკვლავედში შეერთება. გამორიცხული არ არის ღვიძლის, ყელის და მისი იოგების, ასევე ინფექციურ დაავადებათა წარმოშობა, ხელებისა და თეძოების სახსრების ატკიება. მოერიდეთ მოტეხილობებს, საჯდომი ნერვის გაციებას. სასარგებლოა სუნთქვითი ვარჯიშები და მასაჟი. შესაფერისი დროა ახალ საქმეთა წამოსაწყებად და კონტაქტების დასამყარებლად, ისტორიული ადგილების, ტაძრების, მუზეუმების მოსანახულებლად, ქველმოქმედების გასაწევად, რელიგიისა და ფილოსოფიის შესასწავლად.

7 — ახალმთვარეობა მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილება. სავარაუდოა იმუნიტეტის დაქვეითება, ქრონიკულ სნეულებათა გამძაფრება, გულის არეში ტკივილების წარმოშობა, სისუსტე, დეპრესია, დაბნეულობა, რეაქციების შენელება. სისხლის, ფილტვებისა და ნერვული სისტემის დაავადებათა მქონე ადამიანებში გამორიცხული არ არის სნეულებათა გამძაფრება. სასარგებლოა ხანგრძლივი დასვენება, სუნთქვითი ტანვარჯიში, გასეირნება.

9 — მთვარის სატურნთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. შესაძლოა, ოსტეოქონდროზისა და რევმატიზმის გამძაფრება, გაციებისა და ინფექციის მიზეზით ხერხემალში ტკივილების წარმოშობა. რეკომენდებულია სიმძიმეთა გადატანისგან თავის შეკავება, გაციებისა და ტრავმატიზმის მორიდება, ყელის დათბობა. არ არის რეკომენდებული ახალ საქმეთა წამოწყება, წინასწარ გეგმების დალაგება, ოპერაციებისა და აცრების გაკეთება.

10 — მთვარის პლუტონთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. სავარაუდოა კუჭ-ნაწლავთა სისტემის, საყრდენ-სამოძრაო აპარატის, ასევე კბილებისა და კანის დაავადებთა წარმოშობა. არ არის გამორიცხული სასქესო ორგანოებთან და საშარდე სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოშობა. დაავადებები შესაძლოა იყოს ინფექციური და ანთებითი ხასიათისა. მოუფრთხილდით მუხლებს, ხერხემალს, ასევე ძვლოვან ქსოვილებსა და მყესებს — ნუ დატვირთავთ მათ ზედმეტად და ნუ გააციებთ. ამჟამად არ ღირს მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეთა საწარმოებლად, სამშენებლო გეგმებისთვის კი ხელსაყრელი დღეა.

14 — მთვარისა და ნეპტუნის შეერთება თევზების თანავარსკვლავედში. იქნება საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობის გრძნობა, თამბაქოს მოწევის, ალკოჰოლიანი სასმელებისა და ნარკოტიკების მიღების შეგრძნების მოძალება. გამორიცხული არ არის ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობის დარღვევა. რეკომენდებულია ცხიმიან საკვებზე, სპირტიან სასმელებსა და ყავაზე უარის თქმა. არ შეიძლება ფეხებისა და სმენის ორგანოთა გადატვირთვა. გადიდებულია ავარიებისა და ტრავმების მიღების საფრთხე, ამიტომ ყურადღებით უნდა იყოთ არა მარტო ქუჩაში მოძრაობის, არამედ ტრანსპორტით გადაადგილებისა და შინ ყოფნის დროსაც კი. არ არის რეკომენდებული მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება.

15 — მთვარისა და მარსის შეერთება, ასევე მთვარის პირველი მეოთხედი თევზების თანავარსკვლავედში. შესაძლოა, ტერფების დაავადებათა წარმოშობა, ჭრილობები, მოტეხილობები. სავარაუდოა ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებათა გამძაფრება. გაბრაზებასა და ავ აზრებს დეპრესიის გამოწვევა შეუძლიათ. საკვების მიღებისას საჭიროა ზომიერების დაცვა, უარის თქმა ალკოჰოლის მიღებაზე, მჭრელი და მჩხვლეტავი საგნების ხმარებისას საჭიროა სიფრთხილის დაცვა. მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს, ურთიერთობათა გარკვევას. სარგებლიანია წყლის პროცედურები და ტერფების მასაჟი.

18 — მთვარის ურანთან შეერთება ვერძის თანავარსკვლავედში. ამ დღეს მოსალოდნელია მოჭარბებული აღგზნებადობა, თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, ძილის დარღვევა, სახისა და მისი ნერვების, კბილებისა და ლორ-დაავადებების წარმოშობა. სასურველია უარის თქმა აღმგზნებ საშუალებათა, ყავისა და ალკოჰოლიან სასმელების მიღებაზე, თამბაქოს მოწევაზე უარის თქმა, ძილისა და დასვენების რეჟიმის დაცვა, მოერიდეთ სტრესებს და კონფლიქტების, ასევე სიმაღლეზე სამუშაოებს.

22 — მზის გადასვლა თხის რქის თანავარსკვლავედში, სავსემთვარეობა კიბორჩხალის თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია ამინდის შეცვლა. სავარაუდოა ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, ტკივილები გულის არეში, არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, პრობლემების წარმოშობა საჭმლის მონელების სისტემასა და ღვიძლის მუშაობაში. მოერიდეთ ტრავმებსა და სტრესებს, უარი თქვით ალკოჰოლის მიღებაზე.

28 — მთვარის ბოლო მეოთხედი სასწორის თანავარსკვლავედში. შეიცვლება ატმოსფერული წნევა და ტემპერატურა. შეგაწუხებთ რადიკულიტი, თავისა და კუჭის ტკივილი, საშარდე სისტემისა და კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებები. სასურველია, უარი თქვათ ალკოჰოლის, ცხიმიანი და ცხარე საკვების მიღებაზე, მოერიდეთ გაციებას. კარგი დროა ახლობლებთან ურთიერთობისთვის და დასასვენებლად.

მიოცვა

ჩემპიონი — ხალიჩაზეც, ცხოვრებაშიც

მიხეილ სალაძეს უმეტესობა მისი სპორტული მიღწევებით იცნობს. მსოფლიოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 1981 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავე, მსოფლიოს თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ზოგს მედუქნე ილოდაც ემახსოვრება იგი ფილმიდან „ხარება და გოგია“.

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ მიხეილ სალაძემ ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა შსს ორგანოებში და გამორჩეული კაცის სახელი დატოვა ყველგან.

კარგი ოჯახის შვილსა და თავად დიდებული ოჯახის უფროსს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა. პატივისცემით ვულოცავ მას ამ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ ჯანის სიმრთელეს და სულიერ მხნეობას.

თენგიზ ქავთარაძე

რომელი ავიაკომპანიების ბორტებზეა ყველაზე ჯანსაღი კვება?

დიეტოლოგმა ის ავიაკომპანიები დაასახელა, რომელიც მგზავრებს ყველაზე კარგ და ჯანსაღ ბორტკვებას სთავაზობს. დიეტოლოგის კვლევა გამოქვეყნებულია საიტზე Diet Detective.

ნიუ-იორკელმა ექიმმა ჩარლზ პლატკინმა 5 ქულიანი შკალით 11 ამერიკული და კანადური ავიაკომპანიების საკვების რაციონი გადაამოწმა და შესაბამისი კვლევაც დადო.

მას ასე, 2018 წლის მონაცემებით, ყველაზე ჯანსაღი კვება Alaska Airlines-ის ბორტზეა, რომელმაც მთლიანობაში 4.25 ქულა დააგროვა. კვლევამ აჩვენა, რომ Alaska Airlines-ს მიერ შეთავაზებული საკვები 404 კალორიას შეიცავს. მეორე ადგილზეა ავიაკომპანია Delta, რომელმაც დიეტოლოგის შეფასებით 3,75 ქულა დააგროვა და მთლიანობაში — 500 კალორიას აერთიანებს. მესამე ადგილზეა — Jet Blue (3,55 ქულა), მეოთხეზე — Air Canada (3,45 ქულა), ხოლო მეხუთეზე — American Airlines (3 ქულა).

ირკვევა, რომ შესწავლილი ავიაკომპანიებიდან ყველაზე არაჯანსაღი კვება Southwest Airlines-ის, Spirit Airlines-სა და Frontier Air-ის ბორტებზეა.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

განახლებული იოანე პეტრიწის ქუჩა

დიდ დილობში იოანე პეტრიწის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა. ჩატარებული სამუშაოების შედეგს დედაქალაქის მერი კახა კალაძე ადგილზე გაეცნო.

მისი თქმით, ქუჩა უკვე მოწესრიგებულია და იგეგმება გზის დახაზვა. **„მთლიანად შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები, როგორც სანიაღვრე, ისე წყალარინების სისტემა, ასევე, შეიცვალა გარე განათების ბოძები და დავაყენეთ ახალი, დუმ ტიპის სანათები, რომელიც ეკონომიურია და დაახლოებით ელექტროენერგიის 60-70%-ს ზოგავს. სადენები, რომლებიც ჰაერში იყო გადაჭიმული, მიწის ქვემოთ არის ჩატანილი და რაც მთავარია, გზაგამყოფი, რომელიც ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო და შეიძლება ითქვას, მანქანების პარკინგად იყო გადაქცეული, დღეს არის მოწესრიგებული და დარგულია ხე-მცენარეები. სამუშაოები, რაც დარჩა, არის დამატებით მიწის შეტანა, რაც გაზაფხულზე განხორციელდება, ბალახის დათესვა და გზის დახაზვა, რაც ძალიან მალე დაიწყება. ასეთი მიდგომები გვაქვს ჩვენ. გვინდა რომ ყველა ქუჩა ასე მოწესრიგებული იყოს თავიდან ბოლომდე“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მიწისქვეშა საკომუნიკაციო ქსელს, დაიგო ასფალტის ახალი საფარი, მოეწყო ბორდიურები და ტროტუარები. მთლიანად გამოიცვალა გარე განათების ქსელი და დამონტაჟდა 61 ერთეული LED სანათი.

პროექტზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან დაახლოებით მილიონ ნახევარი ლარი დაიხარჯა. სამუშაოებს თბილისის მერიის კონტრაქტორი კომპანია შპს „თი როუდი“ აწარმოებდა.

რეაბილიტაციის პროექტის დასრულების შემდეგ პეტრიწის ქუჩა გამწვანდა: ჯამში 513 ძირი, 7 სახეობის მერქნიანი მცენარე დაირგო, მათ შორის, 377 ძირი, 4 სახეობის ბუჩქი და 136 ძირი, 3 მეტრზე მაღალი, სამი სახეობის ხე. გარდა ამისა, იგეგმება ბალახის დათესვა ჰიდროთესვის პრინციპით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.

ფასი შეთანხმებით!

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6894; ევრო - 3.0514;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4250
100 რუბლი - 4.0063; თურქული ლირა - 0.5143;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5865;
1000 სომხური დრამი - 5.5463.

ამინდი 5 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+16
თბილისი:	ღამე	+5,	დღე	+11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge